პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-თანამშ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნიშადურს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებანი: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ოჯახობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 14 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 108 (1263)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— დამთავრდა მცირე ანტანტის [illegible]
— საბჭოთა კავშირში მოემგზავრება იაპონიის მუშათა პარტიის დელეგაცია.
— ბორის სავინკოვმა თავი მოიკლა.
— სოფიის სასამართლომ 8 კაცს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.
— კიშინიოვის ციხეში 180 პოლიტიკურმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა.

სოფელი და ლიტერატურა

ბეჭდვითი ნაწარმოების საგულისხმო ზრდა ჩვენში არ იწვევს აზრთა სხვაობას. ქართული პრესის ყოველდღიური ტირაჟი 65 ათასს აღემატება. ასეთი დიდი მიღწევა ბეჭდვითი მრეწველობაში არ ახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

სამწუხაროდ, ლიტერატურის მასსიური გავრცელების საკითხი სავსებით არაა გადაწყვეტილი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობა—გლეხობა და სოფლის მუშური წრეები საკმაოდ არაა უზრუნველყოფილი ბეჭდვითი ნაწარმოებით. ასეთი მდგომარეობა სავალალოა განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში. საბჭოთა ქვეყნების მშრომელი მასსა საკმაოდ გათვითცნობიერებულია, მისი პოლიტიკური სიმწიფის დონე საგულისხმოდ აწეულია. გაზეთი, ჟურნალი, ბროშიურა, საერთოდ—ცოდნის შეძენა დღეს მუშებსა და გლეხებს ყველაზე მეტად სწყურიათ. უნდა ითქვას მიუდგომლად, ეს წყურვილი, უმეტეს შემთხვევაში, დაუკმაყოფილებელი რჩება.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი საინტერესო გარემოება. მშრომელი მასსის გათვითცნობიერება მარტო „ომისა და რევოლიუციის" შედეგი არაა. საბჭოთა ხელისუფლებამ რამოდენიმე ათასი გლეხკაცი გამოიყვანა უსწავლელობის სიბნელიდან. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჩვენში წარმატებით მიმდინარეობს. „სწავლა დასოულებული" მოხუცი თაობა დაუშრეტელი სურვილით ეტანება ბეჭდვითი ნაწარმოებს. ჩვენს გაზეთებს მკითხველთა ახალ-ახალი რიგები ემატება.

მაგრამ... აი სწორედ ეს „მაგრამ" წარმოადგენს ჩვენთვის დღემდე დაუძლეველ დაბრკოლებას.

საკითხის სიმძიმე მეტად „მარტივ" მდგომარეობას შეეხება: **ლიტერატურული ნაწარმოების გავრცელების ტეხნიკას.** ბეჭდვითი სიტყვის ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა საბედისწერო გავლენას ახდენს საბჭოთა პრესის აწმყოსა და მომავალზე. მასსა მიილტვის მასსიურ ლიტერატურისაკენ. ბეჭდვითი ნაწარმოების სათანადო დონეზე დაყენების ეს ძირითადი პირობა ჩვენში უკვე არის. სამაგიეროთ ვერ მოვახერხეთ მეორე პირობის დაცვა—მასსიური ლიტერატურის მასსასთან დაახლოება. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ბროშიურები და სახალხო წიგნები კუს ნაბიჯით მიემართება სოფლისაკენ. ესეც უკეთეს შემთხვევაში!

ყოველდღიური და პერიოდული გამოცემა უმთავრესად ქალაქის დაბების საზღვრებს არ შორდება. გადამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ საერთო ყოველდღიურ ტირაჟიდან სოფლის მოსახლეობამდე 10—15 პროცენტი თუ აღწევს. ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკული და, ამავე დროს, უაღრესად პოლიტიკური ხასიათის ლოზუნგი—„**გაზეთი სოფელს**" დღესაც უცდის განხორციელებას, კიდევ მეტი, **განხორციელების შესაძლებლობის ნიადაგის მომზადებას.**

მასსიურ ლიტერატურის, უმთავრესად პერიოდულ გამოცემათა გავრცელების ამოცანა მთელი თავისი სიმწვავით და მნიშვნელობით აწეულია ჩვენს წინაშე. ამ ამოცანის გადაწყვეტა იპყრობს ჩვენი პარტიისა და მშრომელთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას. საკითხის სიძნელე მდგომარეობს ლიტერატურის გავრცელების საიმედო საშუალებათა გამოძებნაში.

სოფლად ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე. ყრილობის რეზოლიუცია ამ საკითხის გადასაწყვეტად მიგვითითებს ფოსტა-ტელეგრაფის ორგანოებისა და კოოპერაციის მაქსიმალურად გამოყენებაზე. პარტიის დადგენილებაში ნათქვამია: ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელებაში უნდა იქნეს ჩაბმული სახელმწიფოებრივი დაწესებულებები, **პირველ რიგში ფოსტა-ტელეგრაფის უწყება და კოოპერატიული ორგანიზაციები.**

უნდა ვთქვათ აშკარათ, რომ **პარტიის დირექტივა ბეჭდვითი ტრანსპორტის საკითხში ვერ განვახორციელეთ.**

არსებულ მდგომარეობის გამოსწორება ჩვენი ძირითადი ამოცანაა. **ლიტერატურის გავრცელების საკითხში პარტიის პოლიტიკა უნდა გატარდეს მთლიანად.** ვინც წინ გადაეღობება ბეჭდვითი სიტყვის სოფლად შეჭრას, ან სათანადო დახმარებას არ გაუწევს ბეჭდვითი ნაწარმოების „ფორთხიალს" ფართო მასსებისაკენ—უეჭველად დიდ პოლიტიკურ დანაშაულს ჩაიდენს. მას სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

საკითხის პრაქტიკულ სიბრტყეზე დაყენება „ბედის მონახევრეა". მასსიურ ლიტერატურის გავრცელების ფერხულში უნდა ჩაერიონ შემდეგი სახელმწიფოებრივი ორგანოები: პოლიტგანათლების მთავარმმართველობა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყება და კოოპერატიული ორგანიზაციები.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობის მონაწილეობის როლი ლიტერატურის გავრცელების საკითხში უმნიშვნელო არაა. ჩვენს ქვეყანაში ბლომად მოიპოება სახალხო სამკითხველოები („ქოხ-სამკითხველოდ" წოდებული). თუ ყველა სოფელში არა, ყოველ თემში მაინც არსებობს სამკითხველო. თემში სამკითხველო უაღრესად კულტურული დაწესებულებაა. მისი დანიშნულება მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული. ეს გვავალებს შემდეგს: **სამკითხველოში გაზეთს მარტო კი არ უნდა კითხულობდენ,—უნდა იწერდენ კიდეც.** სოფლის სამკითხველოს გამგე ბეჭდვითი ნაწარმოების ნამდვილი მეგობარი და აგენტი უნდა იყოს. სამკითხველოს გამგეს შეუძლია მკითხველის დაინტერესება გაზეთის, ჟურნალის და სხვების გამოწერაში. გლეხი კითხულობს გაზეთს, მოსწონს, მაგრამ არც კი იცის ხშირად, რომ გაზეთის გამოწერა ადვილად შეიძლება. სამკითხველოს გამგე ამ შემთხვევაში დაინტერესებულ გლეხის ნამდვილი დამხმარე უნდა იყოს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კოოპერაციის დანიშნულება. როგორც საწარმოო, ისე მომხმარებელ კოოპერატიულ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ლიტერატურის გავრცელებაში საკითხის სანახევროდ გადამწყვეტია. კოოპერატიულ დუქნებით ჩვენი ქვეყანა საკმაოდ დაქსელილია. ნუ თუ არ შეუძლია კოოპერატივებს ლიტერატურის აღებ-მიცემობას, ანუ „კულტურულ კომერციას" ხელი მოკიდონ? **პარტიის კატეგორიულ დადგენილებას კოოპერაცია მთლიანად უნდა დაემორჩილოს.** ჩვენც უნდა შევსძლოთ კოოპერაციის სავსებით გამოყენება. რა გზით?—უსათუოდ შემდეგი საშუალებით: **სოფლად, თემში, დაბაში, სადაც კოოპერატიული დაწესებულებაა, კოოპერატიულ დუქანთან (ან დუქანში) უნდა მოეწყოს ჟურნალ-გაზეთების „კუთხე"**, სადაც გაიყიდება ბეჭდვითი ნაწარმოები, აგრეთვე მიიღება ხელის მოწერა პერიოდულ გამოცემებზე. არ უნდა ვითაკილოთ ნავთთან ერთად გაზეთის გაყიდვაც. ნავთი ანათებს გლეხის ქოხს, გაზეთი კი—გლეხის გონებას. ორივე საჭიროა, კოოპერაციამ ორივე მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

ასევე შეიძლება ითქვას ფოსტა-ტელეგრაფის უწყების შესახებ. ფოსტის განყოფილებებთან სოფლად და თემში აუცილებლად უნდა მოეწყოს ბეჭდვითი ნაწარმოებზე ხელის მოწერა და, სადაც მოხერხდება,—მათი გაყიდვა. სადაც შეიძლება საფოსტო მარკების გაყიდვა, დაზღვეულ წერილების და ამანათების მიღება, აქ შეუძლებელი არაა ჟურნალ-გაზეთების გაყიდვის ორგანიზაციის მოწყობა და ბეჭდვითი სიტყვაზე ხელის მოწერის მიღება. ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ ეს საქმე უნდა იკისროს და კიდევაც შეასრულოს.

პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობაც ამ საქმეში აუცილებლად საჭიროა. **პარტიულმა ორგანოებმა სასტიკი კონტროლი უნდა გაუწიონ ბეჭდვითი სიტყვის გამავრცელებელ ორგანიზაციებს**, ყოველგვარი შენიშნული ნაკლი ძირშივე უნდა მოსპონ.

აი, მოკლეთ, პარტიის პრაქტიკული პოლიტიკა ლიტერატურის გავრცელების საკითხში. იგი უნდა განხორციელდეს მთლიანად, ყოველგვარ პირობებსა და დაბრკოლების გარეშე.

საბჭოთა რკინის გზების მდგომარეობა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

როგორც ვიცით, ჩვენმა მრეწველობამ ომამდი არსებულ პროდუქციის 70 პროცენტამდი მიაღწია. სოფლის მეურნეობამ კი ამ მხრივ 80 პროცენტსაც გადააცილა.

ამრიგად, შრომის ნაყოფიერების გაზრდისაკენ მიმართულ ღონისძიებებმა უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. დღემდი პროდუქციის ზრდა მიდიოდა უმთავრესად პირადი გარჯილობის, შრომის ინტენსიფიკაციის გზით.

ეხლა კითხვა კიდევ უფრო ფართედ ისმება. შრომის ნაყოფიერების შემდეგი ზრდისათვის საჭიროა მრეწველობის ტეხნიკურ ბაზისის გაფართოება, წარმოების ძირითად კაპიტალის ისეთი გადახალისება, როგორც ამას ითხოვენ ქვეყნის ნივთიერ კეთილდღეობის უახლოესი ამოცანები.

ამ შემთხვევაში კი განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ტრანსპორტს და კერძოთ რკინის გზას.

რუსეთი თავიდანვე ღარიბი იყო როგორც წყლის, აგრეთვე ხმელეთის ტრანსპორტით. ჯერ კიდევ ომამდი, 1913 წელში, რკინის გზა ბევრათ რჩებოდა უკან ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ტემპს.

მით უფრო ცუდი მდგომარეობა მოელის საბჭოთა რკინისგზებს, თუ ის იმ დონეზე დარჩა, როგორც დღეს არის და ვერ გაჰყვა ფეხდაფეხ მეურნეობის შეუჩერებელ ზრდას.

დღესდღეობით ჩვენი რკინისგზები, ასე თუ ისე, ასრულებენ იმ მოთხოვნილებას, რომელსაც მას უყენებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება. კიდევ მეტი, ბოლო ხანებში რკინისგზა სარგებლითაც კი მუშაობს.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ რკინისგზებზე ყველაფერი რიგზეა? ამის პასუხს თქვენ იპოვით ამ დღეებში მოსკოვში შემდგარ რკინისგზათა სამმართველოების პლენუმზე, რომელსაც დაესწრო საბჭოთა კავშირის 27 რკინისგზის წარმომადგენელი და რომელმაც მეტად საინტერესო სურათი მოგვცა რკინისგზის ტრანსპორტის გასაცნობათ.

პირველყოვლისა სალიანდაგო დარგი. ცუდ მდგომარეობაშია ზოდების საქმე, შტოებს რომ თავი დავანებოთ, მაგისტრალურ ხაზზედაც არის ისეთი უბნები, სადაც ზოდების სისუსტის გამო ვერ დადის მძიმე ორთქლმავალი.

არც შპალის მეურნეობაა სანუგეშო მდგომარეობაში. საბჭოთა კავშირის მთელ ლიანდაგზე შპალების 44 პროცენტს უკვე გაუვიდა ვადა და გამოცვლას საჭიროებს.

ამასთან ერთად უკვე შეძველებული, სამოქალაქო ომით დაზიანებული ხიდები გამოდიან ხმარებიდან და ველარ ზიდულობენ ახალ სისტემის ტვირთამტან ორთქლმავალს.

რაც შეეხება სადგურებს, ისინი ვერ იტევენ ახალი სისტემის მძლავრ ორთქლმავლებს გრძელი შემადგენლობით და მათი ტერიტორია გადიდებას საჭიროებს.

მოძრავ შემადგენლობიდან კი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დღევანდელი ოროღერძიანი საქონლის ვაგონები, რომელიც ჯერ კიდევ 30 წლის წინათ იყო შემოღებული და ეხლა აღარ ამართლებს თავის დანიშნულებას როგორც მოცულობის, აგრეთვე ტეხნიკურ მოწყობილობის მხრივ.

ელექტრომავალი. კაზანცევის მუხრუჭი და საერთოდ რკინისგზის ტეხნიკურ შეიარაღების ძირითად გადახალისების ამოცანები იჩრდილება ამ ძველი ტკივილების დაუძლეველობის გამო.

საბჭოთა კავშირი ხმელეთის ტრანსპორტის ქვეყანაა. ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მარტო ციმბირი რად ღირს, ვეებერთელა, აუვალუწვდენელი ციმბირის მდიდარი ვაკეები და მთაგორები, რომელიც მხოლოდ ერთ მიმართულებითაა გაჭრილი რკინისგზის ხაზით.

ქვეყნის მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა, საქონლის უმტკივნეულო და ნორმალური მოძრაობა, რომელიც ისევე აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისათვის, როგორც ცოცხალ ორგანიზმისთვის სისხლის ტრიალი, დღის წესრიგში სვამს ტრანსპორტის კითხვას.

მისი სათანადოდ გადაჭრა აღარ შეიძლება ომისგან მიყენებულ იარების სადღე-სხვალიო მუშაობისათვის მოშუშებით, როგორც ამას დღემდი ჰქონდა ადგილი. საკითხი ისმება რკინის გზის მეურნეობის საფუძვლიანად გაუმჯობესების შესახებ, კითხვა ეხება ტრანსპორტის ძირითად კაპიტალის გადახალისებას.

აკ. ჭუღნია.

მოსკოვი, 7 მაისი.

მე-14 პარტიული კონფერენციის შედეგების შესახებ*)

ამხ. სტალინის მოხსენება რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმი და ჩვენ მას ავაშენებთ გლეხობასთან ერთად მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.—პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ გვაქვს ყველა ის პირობები, რომლებიც საჭირონი არიან სრული სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად.—მუშათა კლასი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც ელობებიან სოციალისტურ მშენებლობას გლეხურ ქვეყანაში.—„ცდა, სანამ მშრომელი მასები საერთაშორისო მასშტაბით მოახდენენ რევოლიუციას,—ეს ნიშნავს გავქავდეთ ამ მოლოდინში. ეს არის უაზრობა".—სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, მანამ არსებობს ინტერვენციის საფრთხე.

ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალიზმის ბედი საბჭოთა კავშირში

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია და სოციალიზმის ბედი ჩვენს ქვეყანაში

გადავდივარ საკითხების მეორე ჯგუფზე.

აქამდის მე ვლაპარაკობდი ჩვენი კონფერენციის რეზოლიუციებზე იმ საკითხების გარშემო, რომელიც უშუალოდ კომინტერნს ეხება. ეხლა გადავიდეთ საკითხებზე, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს როგორც კომინტერნთან, ისე რუსეთის კომპარტიასთან, და წარმოადგენს დამაკავშირებელ ჯაჭვს საგარეო და საშინაო საკითხებს შორის.

როგორი გავლენა უნდა მოახდინოს კაპიტალიზმის სტაბილიზაციამ სოციალიზმის ბედიღბალზე ჩვენ ქვეყანაში? არის თუ არა სტაბილიზაცია ჩვენ ქვეყანაში სოციალისტური აღმშენებლობის დასასრული ან დასასრულის დასაწყისი? შეიძლება თუ არა საერთოდ საკუთარი ძალებით სოციალიზმის შენება ჩვენ ქვეყანაში, ტეხნიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში შენარჩუნებული იქნება კაპიტალიზმი ასე თუ ისე ხანგრძლივ პერიოდში? შეიძლება თუ არა მივიღოთ სრული გარანტია იმისა, რომ ადგილი არ ექნება ინტერვენციას და არ მოხდება ძველი წყობილების რესტავრაცია ჩვენ, ქვეყანაში ამჟამად კიდეც განმტკიცებულ კაპიტალიზმის გარემოცვის პირობებში? ყველაფერი ეს ისეთი საკითხებია, რომელიც აუცილებლად სდგება ჩვენ წინაშე საერთაშორისო შექმნილ ახალ პირობებთან დაკავშირებით, და რომლის გვერდის ახვევა ჩვენ არ შეგვიძლია, თუ მათზე არ გავეცით სწორი და გარკვეული პასუხი.

წინააღმდეგობათა ორი ჯგუფი

ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს წინააღმდეგობათა ორ ჯგუფს. წინააღმდეგობათა ერთ ჯგუფს შეადგენს შინაური წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფია—საგარეო წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს ჩვენს, სოციალისტურ ქვეყანასა და კაპიტალიზმის ყველა დანარჩენ ქვეყნებს შორის.

განვიხილოთ წინააღმდეგობათა ეს ჯგუფები ცალ-ცალკე.

წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის.

რომ ზოგიერთი წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებობს, ამის უარყოფა არ შეიძლება. საკმარისია მოვიგონოთ რა ხდებოდა და რა ხდება ჩვენში სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასების პოლიტიკის ფაბრიკატებზე ფასების დაწევის კამპანიის გამო, რათა გავიგოთ ამ წინააღმდეგობათა მთელი სიცხადე.

ორი უმთავრესი კლასი სდგას ჩვენ წინაშე: პროლეტარების კლასი და კერძო მესაკუთრეთა—გლეხობის კლასი. აქედან გამომდინარეობს მათ შორის წინააღმდეგობათა აუცილებლობა. მთელი საკითხი მდგომარეობს იმაში, შევსძლებთ თუ არა ჩვენ საკუთარი ჩვენი ძალებით ვსძლიოთ გლეხობისა და პროლეტარიატს შორის არსებული წინააღმდეგობანი. როდესაც ლაპარაკობენ, შეიძლება თუ არა საკუთარი ძალებით სოციალიზმის შენებაო, ამით იმის თქმა სურთ, შევსძლებთ თუ არა ჩვენ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობის დაძლევას? ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვაზე: დიახ, ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმის შენება და მას ჩვენ ავაშენებთ გლეხობასთან ერთად მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

პროლეტარიატის და გლეხობის საერთო ინტერესები

რა უდევს საფუძვლად და მოტივათ ასეთ პასუხს? ასეთი პასუხის მოტივი მდგომარეობს იმაში, რომ გარდა წინააღმდეგობისა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. მათ აქვთ საერთო ინტერესები განვითარების ძირითად საკითხებში, რაც ფარავს—ყოველ შემთხვევაში—შეუძლია დაფაროს ეს წინააღმდეგობანი და რაც წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირის მთავარ საფუძველს.

რაში მდგომარეობენ ეს საერთო ინტერესები? საქმე იმაშია, რომ არსებობს მიწათმოქმედების განვითარების ორი გზა—კაპიტალისტური და სოციალისტური.

კაპიტალისტური გზა ნიშნავს განვითარებას გლეხობის უმრავლესობის გაღატაკების და ქალაქის და სოფლის ბურჟუაზიის ზედაფენების გამდიდრების საშუალებით. სოციალისტური გზა კი, პირიქით, ნიშნავს განვითარებას გლეხობის უმრავლესობის კეთილდღეობის აწევის საშუალებით. როგორც პროლეტარიატი, ისე განსაკუთრებით, გლეხობა დაინტერესებული არიან იმაში, რომ განვითარება წავიდეს მეორე გზით—სოციალისტური გზით, ვინაიდან მხოლოდ ეს გზა იცავს გლეხობას გაღატაკებისა და ნახევრად დამშეულ არსებობისაგან. ზედმეტია ლაპარაკი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის ხელშია მეურნეობის მთავარი ძარღვები, მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა გაიმარჯვოს მეორე გზამ—სოციალისტურმა გზამ. თავის თავად ცხადია, მეორეს მხრივ, რომ გლეხობა ძალიან დაინტერესებულია იმით, რათა განვითარება წავიდეს სწორედ ამ მეორე გზით.

აქედან გამომდინარეობენ პროლეტარიატის და გლეხობის საერთო ინტერესები, რაც ფარავს წინააღმდეგობათ მათ შორის.

აი ამიტომ ლენინიზმი გვასწავლის, რომ ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება გლეხობასთან ერთად, მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე.

აი ამიტომ ლენინიზმი ამბობს, რომ პროლეტარიატის და გლეხობის საერთო ინტერესებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა ვსძლიოთ საკუთარი ძალებით პროლეტარიატისა და გლეხობას შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ასე უყურებს ამ საქმეს ლენინიზმი.

ტროცკის პოზიცია ჩვენი რევოლიუციის მომავალი ბედის საკითხში

მაგრამ, როგორც სჩანს, ამხანაგებო, ყველანი არ ეთანხმებიან ლენინიზმს. აი რას ამბობს ტროცკი პროლეტარიატსა და გლეხობის შორის არსებულ წინააღმდეგობაზე „წინააღმდეგობანი მუშათა მთავრობის არსებობის დროს ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაჭრილ იქნას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლიუციის ასპარეზზე" (წინასიტყვაობა ტროცკის წიგნისა „1905 წელი"). სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩვენი საკუთარი ძალებით წინააღმდეგობათა დაძლევა, პროლეტარიატსა და გლეხობის შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადალახვა ჩვენ არ შეგვიძლია, ვინაიდან მხოლოდ მსოფლიო რევოლიუციის შემდეგ და მსოფლიო რევოლიუციის საფუძველზე, ჩვენ შევსძლებთ, თურმე, ამ წინააღმდეგობათა დაძლევას და, ბოლოს, სოციალიზმის აშენებას.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ამ დებულებას არაფერი საერთო არ აქვს ლენინიზმთან.

იგივე ამხანაგი განაგრძობს: „ევროპის პროლეტარიატის უშუალო, სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასს არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალა-უფლება და თავისი დროებითი ბატონობა გადააქციოს ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად. ამაში ეჭვის შეტანა ერთი წუთითაც არ შეიძლება. („ჩვენი რევოლიუცია", ტროცკი, გვ. 278). სხვანაირად რომ ვსთქვათ: სანამ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი ხელში არ ჩაიგდებს ძალა-უფლებას და არ გაგვიწევს დახმარებას, ჩვენ ფიქრიც კი არ შეგვიძლია ხანგრძლივად ძალა-უფლების შენარჩუნებაზე.

შემდეგ: „უიმედოა ფიქრი, რომ, მაგალითად, რევოლიუციონურ რუსეთს შეეძლოს გაძლება კონსერვატიულ ევროპის წინაშე" (ტროცკი, თხზულებანი, ტომი 3, გვ. 1.)

სხვანაირად რომ ვსთქვათ: ჩვენ, თურმე, არა თუ არ შეგვიძლია სოციალიზმის აშენება, არამედ არც შეგვძლებია თუნდა მოკლე ხნით გავსძლოთ „კონსერვატიულ ევროპის წინაშე", თუმცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ არა თუ გავსძელით, არამედ მოვიგერიეთ კონსერვატიული ევროპის მთელი რიგი გააფთრებულ იერიშებისა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

და, ბოლოს: „რუსეთის სოციალისტურ მეურნეობის ნამდვილი აღორძინება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ევროპის მნიშვნელოვან ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ" (ტროცკის თხზულ. (ტომი 3, ნაწ.)' გვ. 92-93). მგონი ნათელია.

მე მოვიყვანე, ამხანაგებო, ეს ციტატები იმისათვის, რათა დაუპირდაპირო იგი ციტატებს ლენინის თხზულებებიდან და ამგვარად საშუალება მოგცეთ თქვენ ჩასწვდეთ იმ საკითხის მთავარ აზრს, რომელიც ეხება სრულ სოციალისტურ საზოგადოების შექმნის შესაძლებლობას პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანაში კაპიტალისტურ სახელმწიფოების გარემოცვის პირობებში.

ლენინის შეხედულება ამავე საკითხზე

რას ამბობდა ლენინი 1915 წელს

გადავიდეთ ეხლა ციტატებზე ლენინის თხზულებებიდან.

აი რას სწერდა ლენინი ჯერ კიდევ 1915 წელს იმპერიალისტურ ომის დროს: „ეკონომიურ და პოლიტიკური განვითარების არა თანასწორზომიერება არის აუცილებლად კაპიტალიზმის კანონი. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია თავდაპირველად სოციალიზმის გამარჯვება რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში". ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციის და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, გაილაშქრებდა დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, ააჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და თუ საჭირო იქნებოდა, გაილაშქრებდა საჭირო ძალებითაც კი ექსპლოატატორთა კლასების და მათ სახელმწიფოების წინააღმდეგ. ვინაიდან შეუძლებელია ერთა თავისუფალი გაერთიანება სოციალიზმის დროს კაპიტალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლის გარეშე" („Против течения" გვ. 130. ლენინი 1915 წ.). სხვანაირად რომ ვსთქვათ, პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას, კაპიტალისტების გარემოცვაში, თურმე შეუძლია, არა მარტო სძლიოს საკუთარი ძალებით პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი, არამედ შეუძლია და კიდეც უნდა ააშენოს სოციალიზმი, მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა და შექმნას შეიარაღებული ძალა იმისათვის, რათა დახმარება გაუწიოს მეზობელ ქვეყნების პროლეტარიატს მათ ბრძოლაში კაპიტალის დასამხობად.

ასეთია ლენინიზმის მთავარი დებულება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

1920 წელს

იმასვე ამბობს ლენინი თუმცა ცოტა სხვა ფორმით 1920 წელს საბჭოთა მერვე ყრილობაზე ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხთან დაკავშირებით: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა დარჩება წვრილ გლეხურ ქვეყანად. და საჭიროა, რათა ჩვენ ეს ცხადად შევიგნოთ. ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე კაპიტალიზმი არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ქვეყნის შიგნივაც. ყველასათვის ცნობილია ეს. ჩვენ ეს შევიგნეთ და საქმეს იქამდე მივიყვანთ, რათა სამეურნეო ბაზა წვრილ-გლეხურისაგან გადაიქცეს მსხვილ სამრეწველო ბაზად მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელ ქვეყანაში გავრცელდება ელექტროფიკაცია, როდესაც მრეწველობას, სასოფლო მეურნეობას და ტრანსპორტს საფუძვლად დაედება თანამედროვე მსხვილ მრეწველობის ტეხნიკა, მხოლოდ მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ საბოლოოდ" (ლენინი. მოხსენება საბჭოთა მე-8 ყრილობაზე) სხვანაირად რომ ვსთქვათ, ლენინი სავსებით აღიარებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ტეხნიკურ [illegible], მაგრამ მას [illegible] არ გამოჰყავს აქედან უაზრო დასკვნა იმის შესახებ, რომ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღორძინება რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ ევროპის მნიშვნელოვან ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, არამედ ფიქრობს, რომ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალებით ვსძლიოთ ეს სიძნელენი იმისათვის, რათა გავიმარჯვოთ საბოლოოდ, ე. ი. დავამყაროთ სოციალიზმი.

1921 წელს.

აი რას ამბობს ლენინი ერთი წლის შემდეგ, 1921 წელს: „გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების 10—20 წელიწადი და გამარჯვებაც უზრუნველყოფილია მსოფლიო მასშტაბით (პროლეტარული რევოლიუციების გაჭიანურების დროს, რომელი რევოლიუციებიც იზრდებიან)" (ლენინი: გეგმა და კონსპექტი ბროშიურის სასურსათო გადასახადის შესახებ, 1921 წ. იხ. „ბოლშევიკი" № 7). სხვანაირად რომ ვსთქვათ: ლენინი სავსებით აღიარებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პოლიტიკურ სიძნელეს, მაგრამ მას სრულიადაც არ გამოჰყავს აქედან არასწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ „ევროპის პროლეტარიატის უშუალო სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას", არამედ ის ფიქრობს, რომ გლეხობის მიმართ სწორი პოლიტიკით ჩვენ სავსებით მივაღწევთ გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის საბოლოოდ დამყარების სახით.

რას ნიშნავს სწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ? გლეხობის მიმართ სწორი პოლიტიკა არის რაღაც ჩვენზე და სავსებით ჩვენზე, როგორც სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელ პარტიაზე, დამოკიდებული რამ.

ჩვენ შევსძლებთ სოციალიზმის აშენებას.

იმასვე, მაგრამ კიდევ უფრო გარკვევით ამბობს ლენინი 1923 წელს თავის შენიშვნებში კოოპერაციის შესახებ: „მართლადაც! სახელმწიფოს ძალა-უფლება წარმოების ყველა დიდ საშუალებებზე, სახელმწიფოს ხელისუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალმილიონიან წვრილ და უწვრილეს გლეხებთან, ამ პროლეტარიატის ხელში გლეხობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვა—განა ეს ყველაფერი არ არის, რაც საჭიროა იმისათვის, რათა კოოპერაციიდან—მხოლოდ ერთ კოოპერაციიდან, რომელსაც ჩვენ ვნათლავდით, როგორც ვაჭრულს, და რომელსაც სახელს უტეხთ ეხლაც, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს, განა ეს ყველაფერი არ არის, რაც საჭიროა სრული სოციალური საზოგადოების შესაქმნელად, მაგრამ ეს ყველაფერი აუცილებელია და საკმარისი ამ მშენებლობისათვის" (ლენინი. იხილეთ „კოოპერაციის შესახებ" გვ. 5). სხვანაირად რომ ვსთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ გვაქვს თურმე ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რათა შევქმნათ სრული სოციალური საზოგადოება და გადავლახოთ ყოველგვარი დაბრკოლებები, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გადავლახოთ იგი საკუთარი ძალებით.

მგონია ნათელია.

იმის მტკიცებას, რომ ჩვენი ქვეყნის შედარებითი ეკონომიური ჩამორჩენილობა შეუძლებლად ხდის სოციალიზმის დამყარებას, ლენინი ერთის დაკვრით ამსხვრევს, როგორც ისეთ რამეს, რომელიც არ ეთანხმება სოციალიზმს: „უაღრესად შაბლონიურია მათი მოსაზრება—ამბობს ლენინი,—რომელიც მათ გაზეპირებული აქვთ დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ მომწიფებულვართ სოციალიზმამდე და რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამბობენ „მეცნიერი ბატონები", ობიექტიური წინასწარი პირობები სოციალიზმისათვის" („შენიშვნები სუხანოვის შესახებ"). წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება ოქტომბერში და ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენა. ვინაიდან, თუ სოციალისტურ საზოგადოების შექმნის შესაძლებლობა და საჭიროება უარყოფილი იქნება არა თუ იმ მოსაზრებით, ამით აზრი ეკარგება თვით ოქტომბრის რევოლიუციასაც. ვინც უარჰყოფს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობას, მან აუცილებლათ უნდა უარყოს ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიული აუცილებლობა და პირიქით: ვისაც არა სწამს ოქტომბერი, მან არ უნდა აღიაროს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში. კავშირი ოქტომბრისადმი ურწმუნოებასა და ჩვენ ქვეყანაში სოციალისტურ მშენებლობის შეუძლებლობის უარყოფის შორის—სრული და უშუალოა.

„მე ვიცი—ამბობს ლენინი—რომ მოიპოვებიან ბრძენნი, რომელნიც თავს სთვლიან ჭკვიანებად და სოციალისტებსაც კი უწოდებენ თავის თავს, რომელნიც ირწმუნებიან, რომ საჭირო არ იყო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება მანამ, სანამ რევოლიუცია არ დაიწყებოდა ყველა ქვეყნებში".

ისინი ვერ გრძნობენ, რომ, როცა ასე ლაპარაკობენ, ისინი სცილდებიან რევოლიუციას და გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე. მანამდე ცდა, სანამ მშრომელი კლასები მოახდენენ რევოლიუციას საერთაშორისო მასშტაბით,—ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანი გავიყინოთ მოლოდინში. ეს „უაზრობაა", (ლენინი, 1918 წელი, „საერთაშორისო მდგომარეობაზე", ტომი მე-15-ე, გვერდი 285).

ასეთია პირველი ჯგუფის წინააღმდეგობანი, შინაური ხასიათის წინააღმდეგობანი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობის საკითხებში.

საგარეო ხასიათის წინააღმდეგობანი

რაში მდგომარეობენ ეს წინააღმდეგობანი.

გადავიდეთ ეხლა მეორე ჯგუფის წინააღმდეგობებზე, საგარეო წინააღმდეგობებზე, რომლებიც არსებობს ჩვენს, როგორც სოციალიზმის ქვეყანას, და ყველა დანარჩენ ქვეყნებს, კაპიტალიზმის ქვეყნის შორის.

რაში მდგომარეობენ ეს წინააღმდეგობანი?

ისინი მდგომარეობენ იმაში, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, [illegible] ინტერვენციის საფრთხეც კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ, ხოლო ვიდრე ასეთი საფრთხე არსებობს, უნდა იყოს რესტავრაციის, ძველი წესწყობილების აღდგენის საფრთხეც.

შეიძლება სავსებით დაძლეულად ჩაითვალოს ეს წინააღმდეგობანი ერთი ქვეყნისათვის? არა, არ შეიძლება. რადგან ერთი ქვეყნის ღონისძიება, თუნდაც ის დიქტატურის ქვეყანას წარმოადგენდეს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნეს ის ინტერვენციის საფრთხისაგან. სრული გარანტია ინტერვენციისაგან,—ეს ნიშნავს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას და ის შესაძლებელია ამის გამო მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ მთელ რიგ ქვეყნების პროლეტარების შეერთებული ძალ-ღონით ან, კიდევ მხოლოდ რომელიმე ქვეყნის პროლეტარების გამარჯვების შემდეგ. რა არის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება? სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია ინტერვენციის და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, რადგან რესტავრაციის მოხდენის ერთგვარი სერიოზული ცდა შესაძლებელია მხოლოდ გარედან სერიოზული დახმარების შემწეობით, მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის დახმარებით ამიტომ ჩვენი რევოლიუციისათვის მხარის დაჭერა ყველა ქვეყნის მუშების მხრივ, მით უფრო ამ მუშების გამარჯვება თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, წარმოადგენს პირველი გამარჯვებული ქვეყნისათვის აუცილებელ პირობას სრული გარანტიისა ინტერვენციის და რესტავრაციის ცდებისაგან, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას.

„სანამ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა, ამბობს ლენინი, დარჩება მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს განაპირა განცალკევებულ მხარეთ, მანამდე ფიქრი ამა თუ იმ საფრთხის მოსპობაზე იქნებოდა პირდაპირ სასაცილო ფანტაზიორობა და უტოპიზმი. ცხადია, სანამ ასეთი ძირითადი წინააღმდეგობანი დარჩენ და დარჩებიან, მათ საფრთხეს ვერსად გავექცევით" (ლენინი, ტომი XVII-ე, გვერდი 408).

„ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, [illegible] სახელმწიფოთა სისტემაში, [illegible] საბჭოთა რესპუბ-

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 107.

ღიკის არსებობა იმპერიალისტურ სახელმწიფოების გვერდით ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს ან ერთი, ან მეორე" (ლენინი, სიტყვა პარტიის მე-8-ე ყრილობაზე). „აი ამიტომ—ამბობს ლენინი—საბოლოო გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით შესაძლებელია მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშების შეერთებული ძალ-ღონით" (ლენინი, 1918 წ. საერთაშორისო მდგომარეობაზე, ტომი XV-ე, გვერდი 287).

ასეთია მეორე ჯგუფის წინააღდეგობაში.

ერთმანეთში არ უნდა აურიოთ.

ვინც ერთმანეთში ურევს პირველი ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომლებიც შეიძლება სავსებით დაძლეულ იქნეს ერთი ქვეყნის ძალ-ღონით, და მეორე ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა რამოდენიმე ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებული ღონისძიებები, ის დიდ შეცდომას სჩადის ლენინიზმის წინააღმდეგ, ის ან ვერ ერკვევა, ან გამოუსწორებელი ოპორტიუნისტია.

ასეთი გაურკვევლობის ერთგვარ ნიმუშად გამოგვადგება ერთი ამხანაგის წერილი, რომელიც მივიღე მე ამა წლის იანვარში ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შესახებ. ის გაკვირვებით სწერს: „თქვენ ამბობთ, რომ ლენინის თეორია მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ერთს ქვეყანაში. მე სამწუხაროდ ვერ ვნახე ლენინის ნაწერების სათანადო ადგილებში მითითება ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ".

უბედურება, რასაკვირველია, იმაში კი არ არის, რომ ამ ამხანაგმა, რომელსაც მე ერთ-ერთ საუკეთესო ამხანაგად ვსთვლი ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, „ვერ ნახა ლენინის ნაწერების სათანადო ადგილებში მითითება ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ". მოვა დრო, როცა ის წაიკითხავს და ნახავს, დაბოლოს, ასეთ მითითებას.

უბედურება იმაშია, რომ მან აურია ერთმანეთში შინაური და საგარეო წინააღმდეგობანი და შემდეგ [illegible] ზედმეტი არ იქნება გაგაცნოთ თქვენ ჩემი პასუხი ამ ამხანაგის წერილზე. ჩემი პასუხი ასეთი იყო: „ლაპარაკია არა სრულ გამარჯვებაზე, არამედ გამარჯვებაზე საზოგადოთ, ე. ი. იმაზე, რომ მემამულეების და კაპიტალისტების განდევნა, ძალა-უფლების ხელში აღება, იმპერიალიზმის იერიშების მოგერიება და სოციალისტური მეურნეობის შენების დაწყება—ყველაფერი ეს შეიძლება სავსებით მოახერხოს პროლეტარიატმა ერთ ქვეყანაში, მაგრამ სრული გარანტია რესტავრაციისაგან შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ „რამოდენიმე ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებული ძალღონით. სისულელე იქნებოდა რევოლიუციის დაწყება რუსეთში, თუ დარწმუნებული ვიქნებოდით, რომ რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატი,—როცა მის მხარეზე იქნებოდა სხვა ქვეყნების პროლეტარების სრული თანაგრძნობა, მაგრამ არ გვექნებოდა პროლეტარიატის გამარჯვება რამოდენიმე ქვეყანაში,—„ვერ გაუძლებდა კონსერვატიულ ევროპას". ეს არის არა მარქსიზმი, არამედ აშკარა ოპორტიუნიზმი, ასეთი თეორია რომ სწორი იყოს, მაშინ მართალი არ იქნებოდა ილიჩი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთს ჩვენ ვაქცევთ სოციალისტურ რუსეთად, რომ ჩვენ გვაქვს „ყველა საჭირო პირობები სრული სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად (იხილე „კოოპერაციის შესახებ"). ყველაზე საშიში ჩვენს პოლიტიკურ პრაქტიკაში—ეს არის გამარჯვებული პროლეტარული ქვეყნის ისეთ რაღაც პასიურ ქვეყანად წარმოდგენის ცდა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ერთი ადგილის ტკეპნა, სანამ გამოჩნდებოდეს დახმარება სხვა ქვეყნების გამარჯვებულ პროლეტარების მხრივ. დაუშვათ, რომ 5—10 წლის განმავლობაში კიდევ ვერ გაიმარჯვა რევოლიუციამ დასავლეთში, დაუშვათ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკა კიდევ იარსებებს, როგორც რესპუბლიკა, რომელიც აშენებს სოციალისტურ ეკონომიკას ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ 5—10 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა წყალის ნაყვის მეტს არაფერს გაკეთებს, არ შეუდგება სოციალისტური მეურნეობის მოწყობას?

სამარისია ამ კითხვის დასმა, რომ ნათელი იქნეს იმ თეორიის მთელი საფრთხე, რომელიც უარყოფს სოციალიზმის გამარჯვებას ერთ ქვეყანაში. ნიშნავს ეს იმას, რომ ეს გამარჯვება იქნება სრული და საბოლოო? არა, არ ნიშნავს, რადგან სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ყოველთვის იქნება ინტერვენციის საფრთხე" (იანვარი, 1925 წ.).

ასე სდგას საკითხი სოციალიზმის ბედის შესახებ ჩვენს ქვეყანაში ჩვენი პარტიის მეთოთხმეტე კონფერენციის ცნობილ რეზოლიუციის თვალსაზრისით.

(დასასრული ხვალ).

მცირე ანტანტის კონფერენცია

ბულგარეთს არ მიეცა სამხედრო ძალების გადიდების უფლება

მცირე ანტანტა ავსტრიის გერმანიასთან შეერთების წინააღმდეგია

უნგრეთში უკმაყოფილო არიან კონფერენციის დადგენილებებით

ოფიციალური ცნობა

ვენა. 12 მაისი. ოფიციალურ ცნობაში მცირე ანტანტის კონფერენციის მეორე დღის შესახებ აღნიშნულია, რომ მცირე ანტანტა კმაყოფილებით აღნიშნავს ბულგარეთში კომუნისტების გამოსვლის დამარცხებას.

კონფერენციას არ შეუძლია დასთანხმდეს ბულგარეთის არმიის გადიდებაზე, ვინაიდან ეს დაარღვევდა საზავო ხელშეკრულების მთავარ პრინციპებს.

ავსტრიის საკითხში საჭიროდ იქნა ცნობილი გაგრძელდეს მუშაობა ავსტრიის გაჯანსაღების მისაღწევად, ამასთანავე **საზავო ხელშეკრულებანი ძალაში უნდა დარჩეს.**

ბენეშის განცხადების თანახმად ავსტრიაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, კონფერენციამ დაადგინა მიმართოს ავსტრიის მთავრობას წინადადებით, რათა ავსტრიამ მცირე ანტანტასთან შეთანხმებისათვის დაშალოს თავის ტერიტორიაზე ყველა ბოლშევიკური ცენტრები, გააჯანსაღოს სახელმწიფოებრივი ფინანსები ზედმეტი ხარჯების მინიმალურად შემცირებით და ებრძოლოს გერმანიასთან შეერთების ყოველგვარ ცდას.

საუბარი ნინჩიჩთან

ვენა. 12 მაისი. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნინჩიჩმა განუცხადა ბუქარესტის გაზეთ „ადევერულის" თანამშრომელს, რომ მცირე ანტანტის დღევანდელი კონფერენცია ამტკიცებს მცირე ანტანტის გავლენის ზრდას ევროპის პოლიტიკაზე. ბულგარეთის არმიის გადიდების საკითხზე რუმინეთის და სამხრეთ-სლავიის მთავრობები, ნინჩიჩის სიტყვით, სავსებით შეთანხმებული არიან.

ბენეშის განცხადება

ვენა, 12 მაისი. ბენეშმა რუმინეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მცირე ანტანტაში პოლონეთის შესვლის საკითხი ახალი არ არის. მნიშვნელობა მცირე ანტანტასთან პოლონეთის თანამშრომლობას კი არა აქვს, არამედ მნიშვნელობა აქვს საბოლოო შედეგებს: თავის თავად მცირე ანტანტა წარმოადგენს კავშირს ცენტრალურ ევროპაში არსებულ მდგომარეობის დასაცავად.

მცირე ანტანტა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ავსტრიას და ფიქრობს, **რომ გერმანიასთან მისი შეერთება დაუშვებელია.** დუნაის ფედერაციის შექმნა არ შეიძლება გატარებული იქნას. ამიტომ ავსტრიამ უნდა მიიღოს მცირე ანტანტისაგან დახმარება, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. მცირე ანტანტის სახელმწიფოები—დასძინა ბენეშმა—მზად არიან ითანამშრომლონ ავსტრიასთან, რამდენადაც ავსტრიის ბედ-იღბალი მათზეა დამოკიდებული.

ჰინდენბურგის არჩევა, ბენეშის სიტყვით არ წარმოადგენს საშიშროებას მცირე ანტანტისათვის, ვინაიდან საგარანტიო ხელშეკრულება უზრუნველჰყოფს შექმნილ მდგომარეობის შენარჩუნებას.

ბოლშევიკური საფრთხეც, ბენეშის აზრით, არ არის არსებითი.

უკმაყოფილო არიან რუმინეთის პოლიტიკით

ვენა, 12 მაისი. მცირე ანტანტის კონფერენციის გამო რუმინეთის ოპოზიცია სასტიკად აკრიტიკებს რუმინეთის საგარეო პოლიტიკას. იორგამ, რომელიც არის ნაციონალური და გლეხთა პარტიის კოალიციის ლიდერი, პარლამენტში განაცხადა: რუმინეთის არასასურველი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა არის შედეგი ბრატიანუს მთავრობის ფინანსიურ პოლიტიკისა, რამაც, ნაწილობრივ, გამოიწვია კონფლიქტი იტალიასთან იტალიის მეპატრონეებისათვის რუმინეთის ხაზინის ბონებით ანგარიშების გასწორების საკითხში.

რუმინეთი, იორგის აზრით, **მცირე ანტანტაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს**, ვინაიდან მცირე ანტანტის მთელი პოლიტიკა ბენეშის ხელშია. რუმინეთს არ შეეძლო აგრედვე დაეცვა თავისი ინტერესები საბერძნეთის და სამხრეთ-სლავიის მიმართ, ვინაიდან რუმინეთის მთავრობა საკმარის დახმარებას ვერ უწევს რუმინეთის უმცირესობას აღნიშნულ ქვეყნებში.

ცუდადაა დაყენებული აგრეთვე რუმინეთის პროპაგანდის საქმე საზღვარ-გარეთ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ, გაილაშქრა იორგას წინააღმდეგ და განაცხადა, რომ რუმინეთის, საფრანგეთის და ინგლისის ურთიერთობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება მცირე ანტანტის, ეხლანდელი კონფერენცია გამოააშკარავებს რუმინეთის მნიშვნელობას მცირე ანტანტის შინაურ ურთიერთობაში. რუმინეთის საგარეო პოლიტიკა—სთქვა დუკამ—დამყარებულია მშვიდობიანობის განმტკიცების და არსებულ ხელშეკრულებათა დაცვის ცდაზე. ამ პრინციპზე რუმინეთი აშენებს თავის პოლიტიკას. რუმინეთმა მიაღწია იმას, რომ მისი საზღვრები სავსებით უზრუნველყოფილია, ვინაიდან აღმოსავლეთის საზღვრების უშიშროება უზრუნველყოფილია პოლონეთთან კავშირით, ხოლო დასავლეთის და სამხრეთის საზღვრების—კავშირით ჩეხო-სლოვაკიასთან და სამხრეთ-სლოვაკიასთან.

უმჯობესდება აგრეთვე ურთიერთობა ყოფილ მტრებთან—ოსმალეთთან, ბულგარეთთან და ჰუნგრეთთან.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, რუმინეთის მთავრობას შეუძლია მხოლოდ გაიმეოროს თავისი ძველი თვალსაზრისი. რუმინეთი მზადაა განიხილოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან იმ პირობით, თუ უკანასკნელი იცნობს მის საზღვრებს.

ავსტრიის დამცირება

ვენა, 12 მაისი. ავსტრიის პოლიტიკურ წრეებში მცირე ანტანტის კონფერენციის დადგენილებებს ავსტრიის საკითხზე სთვლიან ავსტრიის დამცირებათ. ავსტრიის მოღვაწეები ფიქრობენ, რომ დუნაის ფედერაციის შედგენის უარყოფა და მცირე ანტანტის უარყოფითი დამოკიდებულება გერმანიასთან ავსტრიის შეერთების საკითხისადმი ამტკიცებს იმას, რომ მცირე ანტანტას სრულიად არ შესწევს უნარი გადასჭრას ავსტრიის აუტანელ მდგომარეობის პრობლემა.

ჰუნგრეთი შეურაცხყოფილია

ვენა, 12 მაისი. მცირე ანტანტის კონფერენციის დადგენილება ჰუნგრეთის საკითხში სასტიკ კრიტიკას იწვევს ჰუნგრეთის გაზეთების მხრივ. პრესა ენერგიულად ილაშქრებს კონფერენციის დადგენილების მუქარის ხასიათის წინააღმდეგ. ამასთანავე ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ კონფერენციის დადგენილება წარმოადგენს დემონსტრაციას ჰუნგრეთთან დადებულ ხელშეკრულების გადასინჯვის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის გავლენიან სახელმწიფოების წრეებში ასეთი გადასინჯვა საჭიროთ მიაჩნიათ. ბუდაპეშტის გაზეთი „არველი" იუწყება, რომ ბრატიანუ ჰუნგრეთის მიმართ მოლოლინის პოლიტიკას დაადგა, მაშინ, როდესაც ბენეში, ნინჩიჩი და დუკა მოითხოვდნენ, რათა მცირე ანტანტამ გამოარკვიოს საკითხი ჰუნგრეთის საიდუმლო შეიარაღების და საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ იქ წარმოებულ პროპაგანდის შესახებ.

გაზეთების ცნობით, კონფერენციამ დაადგინა მიმართოს ჰუნგრეთის მთავრობას ამის გამო კოლექტიური ნოტით.

ჰუნგრეთის მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ მცირე ანტანტის მიერ წამოყენებული ბრალდება უსაფუძვლოა, ვინაიდან ჰუნგრეთი სამხედრო და სამეურნეო საკითხებში ერთი ლიგის კონტროლის ქვეშ იმყოფება და ასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს.

უძლურების დემონსტრაცია

ვენა, 12 მაისი. მცირე ანტანტის კონფერენცია დამთავრდა. **კონფერენციის გადაწყვეტილებებმა არასასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიის და ჰუნგრეთის საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც უკმაყოფილოა მცირე ანტანტის აგრესიულ ტონით ამ ქვეყნების მიმართ. ეს ამტკიცებს მცირე ანტანტის შინაგან უძლურებას.**

ბორის სავინკოვის თვითმკვლელობა

მოსკოვი, 13 მაისი. 7 მაისს ბორის სავინკოვმა თავი მოიკლა. იმ დღეს დილით სავინკოვმა მიმართა ძერჟინსკის წერილით განთავისუფლების შესახებ. მიიღო რა ციხის ადმინისტრაციისაგან წინასწარი პასუხი, რომ საეჭვოა უზენაეს სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა, სავინკოვმა ისარგებლა რა ფანჯრის ჩარჩოების უქონლობით იმ ოთახში, რომელშიაც ის იმყოფებოდა, სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ გადავარდა მეხუთე სართულიდან ეზოში და დაზიანდა სასიკვდილოთ. გამოწვეულმა ექიმებმა რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს თანდასწრებით დაადასტურეს სწრაფი სიკვდილი.

სავინკოვის წერილი

მოსკოვი, 13 მაისი. მოგვყავს სავინკოვის წერილი ძერჟინსკისადმი სიტყვა-სიტყვით:

„მოქალაქე ძერჟინსკი. მე ვიცი, რომ თქვენ მრავალი საქმეები გაქვთ, მაგრამ მაინც გთხოვთ დამითმოთ რამდენიმე წუთი.

როდესაც მე დამაპატიმრეს, დარწმუნებული ვიყავი, რომ შესაძლებელია ორი გამოსავალი. პირველი-თითქმის უეჭველი,—რომ მე დამხვრეტენ, ხოლო მეორე—რომ მე დამიჯერებენ და ამის შემდეგ მომცემენ მუშაობის საშუალებას. მესამე გამოსავალი, ე. ი. ციხეში დაპატიმრება, მეჩვენებოდა იმთავითვე მოხსნილად: იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩავიდინე, არ შეიძლება დავსჯილიყავი ციხეში დაპატიმრებით, ხოლო ჩემი გასწორება საჭირო აღარ არის, მე გამასწორა თვით ცხოვრებამ. სწორედ ასე იყო დასმული კითხვა მოქ. მენჟინსკისთან, არტუზოვთან და პილიართან საუბრის დროს: ან დამხვრიტეთ, ან მომეცით მუშაობის საშუალება. მე თქვენს წინააღმდეგ ვიბრძოდი, ეხლა კი თქვენთან ვარ. შუაში გაჩერება—არც თქვენთან არც წინააღმდეგ, ე. ი. ციხეში ჯდომა ან „ობივატელად" გახდომა—მე არ შემიძლია.

მე მითხრეს, რომ სჯერათ ჩემი, რომ ჩქარა მაპატიებენ დანაშაულს და მომცემენ მუშაობის საშუალებას. მე ველოდი პატიებას ნოემბერში, შემდეგ იანვარში, თებერვალში, აპრილში.

ამგვარად მიუხედავათ ყველა საუბრებისა და ყოველგვარ [illegible], მესამე გამოსავალი შესაძლებელი აღმოჩნდა. მე ვზივარ და ვიქნები ციხეში. ჯდომა, როდესაც ჩემს გულწრფელობაში თითქმის ეჭვიც არ ეპარება და როდესაც მე მსურს ერთით ეს გულწრფელობა დავამტკიცო საქმით. არ ვიცი რა აზრი აქვს ჩემს ჯდომას ციხეში. არ ვიცი ვისთვის არის ეს სასარგებლო.

მე მახსოვს ჩვენი საუბარი ავგისტოში, თქვენ მართალი იყავით. საკმარისი არ არის იმედი გაგიცრუვდეს თეთრებში ან მწვანეებში, საჭიროა კიდევ გაიგო და შეაფასო წითლები. მას აქეთ კარგა ხანმა განვლო. მე ბევრი რამ გადავიფიქრე ციხეში და არ მრცხვენია განვაცხადო—ბევრი რამ შევისწავლე. მოგმართავთ თქვენ, მოქალაქე ძერჟინსკი თუ თქვენ გჯერათ ჩემი, გამანთავისუფლეთ და მომეცით სამუშაო—სულერთია, როგორიც იქნება იგი, დეე იგი იყოს თუნდაც სრულიად დამოკიდებული. შეიძლება გამოგადგეთ. მე ხომ ოდესღაც ვიყავი არალეგალური მუშაკი და ვიბრძოდი რევოლიუციისათვის. თუ თქვენ ჩემი არ გჯერათ მითხარით ეს, მე გთხოვთ, პირდაპირ და გარკვეულად, რათა მე ვიცოდე სისწორით ჩემი მდგომარეობა".

გულწრფელი სალამით **სავინკოვი.**

საკავშირო საბჭოთა ყრილობის გახსნის წინ

უპარტიო გლეხების თათბირი

მოსკოვი, 13 მაისი 12 მაისს გაიმართა სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის უპარტიო დელეგატების თათბირი. თათბირმა დაამტკიცა ყრილობის დღის წესრიგი, ამასთან ერთად გადასწყვიტა კამენევის მოხსენება გლეხურ მეურნეობის აღორძინების და განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ გადატანილი იქნეს კალინინის მოხსენების შემდეგ საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

სრულიად საკავშირო ყრილობის რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირმა დაასახელა შემდეგი კანდიდატები ყრილობის პრეზიდიუმში: უკრაინის დელეგაციიდან სუხომლინოვი, ზუკოვი, უმისი, გონჩარუკი და მაიასერი; ბელორუსიის დელეგაციისაგან—ცარინი და ოსმოლოვსკაია; კავკასიის დელეგაციიდან—ბარბაქაძე, კადირა და იაკაიანი; უზბეკისტანის დელეგაციიდან—შაპირო და რაჯაბოვი; საბჭოთა რუსეთის დელეგაციიდან—ჩისტიკოვი, ალექსეევი, მაკაგონი, კუდრიაშკი, სმირნოვა, იჩიბაკი, ოსკინი, მესეგულოვი და ზანცევიჩი.

ყრილობის თავჯდომარედ ასახელებენ კალინინს.

მისალმება ყრილობას.

საბჭოთა სრულიად საკავშირო მე-3 ყრილობის პრეზიდიუმს ამიერ-კავკასიის ცაკის თავჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ამიერ-კავკასიის ყველა ერების მუშების და გლეხების და ა/ კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მხურვალეთ ვესალმები უზენაეს ორგანოს და ბატონ-პატრონს მთელი დიდი საბჭოთა ქვეყნისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის კომუნისტური პარტია და კომინტერნი. მხურვალეთ ვესალმები თურქმენთა და უზბეკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესვლას საბჭოთა კავშირში.

დეე ამ უდიდესმა ყრილობამ, რომელიც განიხილავს საბჭოთა კავშირის მთავრობის წარსულ მოღვაწეობას, მეცნიერულად და მიზანშეწონილად გადასწყვიტოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღორძინების და განმტკიცების საკითხები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით. დეე მან მუშების და გლეხების დიდი ქვეყანა წაიყვანოს სასოფლო, სათემო და ყველა ნაციონალური საბჭოების კიდევ უფრო მეტ გამოცოცხლებისაკენ, მათში ქალაქის და სოფლის მშრომელთა მთელი მასის ჩაბმით, და განამტკიცოს დღემდის [illegible] ფინანსიურ-ეკონომიური საკითხების და საერთო საკავშირო ბიუჯეტის მოგვარებით; დეე მან კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი მთლიანი და სახელოვანი წითელი არმია და ბოლოს დააგვირგვინოს თავისი დიდი მუშაობა საბჭოთა კავშირის ცაკის კიდევ უფრო უკეთესი შემადგენლობის არჩევით, რომელშიაც უნდა შევიდენ უპარტიო მუშების და მუშა ქალების, გლეხების და გლეხქალების წარმომადგენლები.

გაუმარჯოს მუშების და გლეხების დიდი კავშირის დიდ ყრილობას,—იმ კავშირის ყრილობას, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპარტია და ლენინიზმ-მარქსიზმი.

გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს დაუვიწყარ ბელადის ხსოვნას—ბელადის, რომლის ანდერძი გზის მაჩვენებელი უნდა იყოს და იქნება ყრილობის მთელს მუშაობაში.

ყრილობის წევრი და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია**".

პასუხი ყვითლებს

მოსკოვი. 13 მაისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 12 მაისს განხილულ იქნა პასუხი ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი იმ დადგენილების გამო, რომელიც მან მიიღო პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. პასუხის ტექსტი წარადგინა ტომსკიმ, ტექსტის მოწონების შემდეგ პრეზიდიუმმა ტექსტისათვის საბოლოო რედაქციის გაკეთება დაავალა საგარეო დამოკიდებულების კომისიას.

აღმოსავლეთში

მდგომარეობა მაროკკოში

როგორ ებრძვიან აბდულ-ქერიმს

პარიზი, 12 მაისი. რადიკალური წრეები რამოდენიმეთ შეშინებული არიან იმ სამხედრო ოპერაციებით, რომლებსაც მაროკკოში აქვს ადგილი და **საჭიროთ სთვლიან, რომ აბდულ-ქერიმთან დადებული იქნეს შეთანხმება.** მემარჯვენე გაზეთები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც დაკავშირებული არიან ბანკებთან, მოითხოვენ რიფფების ოლქის დაპყრობას.

ამის გამო კომუნისტმა დეპუტატმა ბერტონმა „იუმანიტე"-ში დაბეჭდა წერილი მისი შეხვედრის შესახებ აბდულ-ქერიმთან მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ბერტონი ამტკიცებს, **რომ პუანკარემ საიდუმლოთ გაიწვია პარიზში აბდულ-ქერიმი და დაპირდა დახმარებას ესპანელების წინააღმდეგ, თუ აბდულ-ქერიმი იცნობდა საფრანგეთის პროტექტორატს რიფფების ოლქზე.**

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობებით, ბერტონის განცხადება მტკიცდება, რადგან საფრანგეთის მთავრობა, როგორც სჩანს, მართლაც აძლევდა წინადადებას [illegible] დათანხმებულიყო საფრანგეთის პროტექტორატზე და სანაცვლოთ მას პირდებოდა პირად სარგებლობას.

აბდულ-ქერიმის მიერ ამ წინადადების უარყოფის გამო, გადაწყვეტილი იქნა ოლქის დაპყრობა.

ყაჩაღები ხელს უწყობენ ერთმანეთს

ლონდონი. 12 მაისი. თემთა პალატაში შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მას არაფრის მიმატება არ შეუძლია იმ ცნობებისათვის მაროკკოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნდა პრესაში.

ლიბერალმა კენვორტიმ მისცა ჩემბერლენს შეკითხვა, აქვს თუ არა მას განზრახული „მეგობრულად ჩაერიოს" მაროკკოს საკითხში, თუ საჭირო დარჩა. ჩემბერლენმა უპასუხა: „რასაკვირველია, არა. მე არ მაქვს განზრახული ჩავერიო საფრანგეთის შინაურ საქმეებში. მთელი ჩემი სიმპატია საფრანგეთის მხარეზეა, რადგან ის სცდილობს მიაღწიოს მშვიდობიანობას და დაიცვას ისინი, რომლებიც მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან".

გერმანიის ამბები

ჰინდენბურგი ბერლინში.

ბერლინი, 12 მაისი. დემონსტრანტები, რომლებიც ჩამწკრივებული იყვნენ ქუჩებზე და ჰინდენბურგის გავლის დროს, არაჩვეულებრივ ენტუზიაზმს იჩენდენ, მრავალრიცხოვან საზოგადოებაში, რომელიც შეგროვდა ზეიმზე, სულ სხვა სულიერ განწყობილებას ჰქონდა ადგილი. **ყველგან ადგილი ჰქონდა შეხლა-შემოხლას ჰინდენბურგის თავდავიწყებულ მომხრეთა და იმ პირებს შორის, რომლებიც კრიტიკულ შეხედულებებს გამოსთქვამდენ. შეტაკებები შეწყდა პოლიციის ჩარევის შემდეგ.**

მუშები ქუჩებზე არ გამოსულან. რეფორმისტული პროფკავშირები სიჩუმით შეხვდენ საერთო გაფიცვის ლოზუნგს, რომელიც კომუნისტებმა წამოაყენეს; ამის გამო კომპარტიამ გამოუშვა ფურცელი, რომელშიაც უარს ამბობდა ამ ლოზუნგზე იმ მიზნით, რომ „ჰინდენბურგის დღეს პროლეტარიატს არ გამოემჟღავნებია განხეთქილება".

შეხვედრა

ბერლინი, 12 მაისი. ჰინდენბურგის მიერ საპრეზიდენტო ფიცის დადების დღეს საზოგადოებრივ შენობებზე აღმართული იყო რესპუბლიკანური დროშები. რეიხსტაგში ყველა ლოჟები და ტრიბუნები გაჭედილი იყო ხალხით. ფიცის მიღებას დაპლომატიური კორპუსი დაესწრო სრული შემადგენლობით. რეიხსტაგის შენობის წინ ჯერ კიდევ დილიდანვე რამოდენიმე ასეულმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი, რომლებიც ჰინდენბურგს ესალმებოდენ ნაციონალური ჰიმნის სიმღერით და მხურვალე ოვაციებით.

ფიცის მიღება.

ბერლინი. 12 მაისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: დღის 12 საათზე რეიხსტაგის საზეიმოდ მორთულ დარბაზში პრეზიდენტმა დასდო ფიცი, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციაში. შემდეგ გაიმართა საზეიმო ცერემონია შემუშავებული პროგრამის მიხედვით, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. დარბაზში ჰინდენბურგის გამოჩენისთანავე რეიხსტაგის კომუნისტმა წევრებმა, რომლებიც დაესწრნენ ცერემონიას თითქმის სრული შემადგენლობით, **ძახილით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს" დასტოვეს დარბაზი.**

ნოსკე ესალმება ჰინდენბურგს.

ბერლინი. 12 მაისი. ჰანოვერიდან ჰინდენბურგის გამგზავრების დროს **მის გაცილებაში მონაწილეობას ღებულობდა სოციალ-დემოკრატი ნოსკე.** ნოსკემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იმედი გამოსთქვა, რომ **ჰინდენბურგი იმუშავებს გერმანიის მძიმე პირობების შესამსუბუქებლად** და გერმანიის მიერ მისი მსოფლიო პრესტიჟის დასაბრუნებლად.

ჰინდენბურგმა შემდეგი უპასუხა ნოსკეს: „მე წავიყვან გერმანიის ხალხს ერთობისაკენ, რადგან ძალა ერთობაშია. მე ვიზრუნებ აგრეთვე იმაზე, თუ როგორ გამოვიყვანო გერმანია მისი უბედურებისა და შინაურ დაბრკოლებებისაგან, რათა წავიყვანო ის უკეთესი მომავლისაკენ.

მოკავშირეები და გერმანია

ბრიანის ნოტა

პარიზი, 12 მაისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ბრიანის ნოტა, რომელიც შეიცავს პასუხს გერმანიის წინადადებებზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, მოიწონა მინისტრთა საბჭომ. ნოტა ეცნობება ინგლისს და ბელგიას, ხოლო შემდეგ გადაეცემა გერმანიას.

ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის წინადადება **მხოლოდ** მაშინ იქნება საგულისხმო, თუ მისი მიღება განამტკიცებს სათანადო მუხლებს არსებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, მაგალითად, რეინის შეთანხმებას ოკუპაციის შესახებ. ნოტის ბოლოს ნათქვამია, რომ საგარანტიო ხელშეკრულების დადებამ არ უნდა იქონიოს გავლენა ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა უფლებებზე და ინტერესებზე; ხელშეკრულების დადება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი ლიგაში გერმანიის **მიღების** შემდეგ.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

კარიკატურების [illegible]

ლონდონი. 12 მაისი. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ლონდონში არ ყოფილა მიღებული „პრავდა"-ს არც ერთი ნომერი. როგორც სჩანს, „პრავდა"-ს ნომრებს აკავებენ საბაჟოში, რასაც კავშირი აქვს ამას წინად პარლამენტში შეტანილ შეკითხვასთან იმ კარიკატურების შესახებ, რომლებიც იბეჭდება „პრავდა"-ში.

ჩემბერლენი უფრთხის უცნაურ ნაბიჯებს.

ლონდონი. 12 მაისი. პარლამენტის კონსერვატიულ წევრების ერთმა ჯგუფმა 11 მაისს ინახულა ჩემბერლენი და წინადადება მისცა მას გასწყვიტოს ყოველგვარი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, სანამ უკანასკნელი არ იცნობს თავის ვალდებულებებს და არ წარმოადგენს იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ის არავითარ რევოლიუციონერ პროპაგანდას არ ეწევა ინგლისში.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მას არ აქვს განზრახული ასე შორს წასვლა, რადგან მაკდონალდის მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი, ხოლო ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა სათანადო მიზეზების გარეშე იქნებოდა ძალიან სერიოზული ნაბიჯი. ჩემბერლენმა განუცხადა დეპუტაციას, რომ მათი წინადადება გამოიწვევდა მეტად სერიოზულ შედეგებს და მას პირადად არ შეუძლია ვინმეს ურჩიოს ასეთი ნაბიჯი.

ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაცია მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 12 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მუშათა პარტიამ გადასწყვიტა მიიღოს საბჭოთა მთავრობის წინადადება და **გაგზავნოს მომავალ ზაფხულზე საბჭოთა კავშირში დელეგაცია, რომელიც შეისწავლის ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხებს.**

მუშათა პარტიის გადაწყვეტილება პირობითია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ხნით შეწყდება ს. ზაფხულოდ თემთა პალატის სესია. დელეგაციის წევრებად ასახელებენ დეპუტატად მაკ კინდერს, სკერს, მესტონს და უოლხედს.

უკანასკნელი ცნობები

სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა [illegible]

ყრილობის გახსნა

მოსკოვი, 13 მაისი. 13 მაისს დილის 11 საათზე გაიხსნა სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა. დიდი თეატრი სავსეა დელეგატებით. ამხ. კალინინი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ესალმება დელეგატებს და წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივი სცენ ლენინის, სუნ-იატ-სენის და მეორედან მესამე ყრილობამდის გარდაცვალებულ ცაკის წევრების: ამხ. ნარიმანოვის, გლებოროვისა და სხვ. ხსოვნას.

ყრილობას ესწრება 2.216 დელეგატი, აქედან 1.553 გადამწყვეტი, 663 სათათბირო ხმით. ყრილობაზე რაც შეიძლება სრულად არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ყველა ტერიტორიები.

საბჭოთა კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დავალებით კალინინი ყრილობას გახსნილად აცხადებს. ყველა ფეხზე დგება და ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

პრეზიდიუმის არჩევნები

კომფრაქციისა და უპარტიო დელეგატთა თათბირის სახელით ენუქიძე წინადადებას იძლევა არჩეულ იქნეს პრეზიდიუმი 75 კაცის შემადგენლობით შემდეგი პრინციპის მიხედვით: რუსეთის ს. ფ. ს. რ.-დან წარმომადგენელი, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკიდან—15, ბელორუ საბჭ. რესპ.—6, ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპ.—12 წარმომადგენელი. წინადადება მიიღეს. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. კალინინი, სტ რიკოვი, ზინოვიევი, კამენევი, კუიბიშევი, მოლოტოვი, ფრუნზე, ტრ ტომსკი, წარმომადგენლები ადგილებიდან და სხვა ამხანაგები. ყრ პრეზიდიუმს ესალმება მქუხარე ტაშისცემით.

ყრილობის თავმჯდომარეთ ირჩევენ ამხ. კალინინს, მდივნად ენუქიძეს.

ამის შემდეგ ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის პირველ მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება უზბეკთა და თურქმენთა რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში მიღებას. ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუ რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში ჩარიცხვის შესახებ.

პუანკარე უარყოფს

პარიზი, 12 მაისი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით პუანკარემ „იუმანიტე"-ში დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ 1923 წ პარიზში იწვევდა საიდუმლოდ რიფფების ტომის ბელად აბდულ-ქერიმ პირდებოდა მას დახმარებას ესპანელებთან ბრძოლაში.

პენლევეს განცხადება მაროკკოს ამბების შეს

პარიზი, 12 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით მაროკკოში არს მდგომარეობის შესახებ მინისტრთა თავჯდომარე პენლევემ განაცხადა, თალია მდგომარეობა იქ განმტკიცებულია, მაგრამ იგი მაინც დ საქმე არც ისე სერიოზულია, როგორც ეს იყო წინა წლის დრო რაციების დროს. მოწინავე პუნქტები, რომლებიც ალყ მოკლე ხანში იქნება განთავისუფლებული; სამხედრო მოქმედებას არა ფართო ხასიათი და ჩვენ რაზმებს უმნიშვნელო ზარალი აქვთ.

სამხრეთ-სლავიაში ძლიერდება კომპარტია

ვენა, 12 მაისი. ზაგრების ქალაქის არჩევნებში რადიკალურმა პარ ტიამ მიიღო 15 მანდატი, პრიბიჩევიჩის ჯგუფმა დამოუკიდებელმა დემ კრატებმა—3, კომუნისტებმა—3 და სიონისტებმა—2.

ყველა პარტიებმა, გარდა კომუნისტებისა, გაცილებით ნაკლები ხმები მიიღეს, ვიდრე პარლამენტის უკანასკნელი არჩ ბის დროს. რადიჩის პარტიამ დაკარგა ხმების 40 პროც. პრიბიჩევ ტიამ—42 პროც. დავიდოვიჩის პარტიამ—70 პროც. კომუნისტებმა მ 30 პროც—ზე მეტი.

კომუნისტ ბაუმანის მოკვლა

რეველი, 12 მაისი. უცნობი პირი, რომელიც რამდენიმე კვირის ნად მოჰკლეს საზღვარზე ესტონეთიდან საბჭოთა კავშირში გადასვლ დროს, აღმოჩნდა კომუნისტი ბაუმანი.

ჰინდ. ნბურგი შეუდგა თავის მოვალეობის ა სრულებას

ბერლინი, 12 მაისი. სიმონსმა, რომელიც დროებით ასრულებდა ზიდენტის თანამდებობას, გაიმგზავრა თავისი მუდმივი სამსახურის ად ზე ლეიპციგში. სადგურზე ის გააცილეს რეიხსკანცლერმა ლიუტერმა, რ ტაგის თავმჯდომარემ ლებემ და სამხედრო მინისტრმა გესლერმა. ჰინ ბურგმა მას წერილობით გაუგზავნა მისალმება.

ჰინდენბურგის მოწოდება

ბერლინი, 12 მაისი. ჰინდენბურგმა გამოაქვეყნა მოწოდება, რ ის გერმანიის ხალხს მოუწოდებს მასთან თანამშრომლობისაკენ.

ფაშისტური ტერორი ბალკანეთში

დამთავრდა სოფიის ტაძრის აფეთქების საქმის გარჩევა

რვა ბრალდებულს ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს

კიშინიოვის ციხეში 130 პოლიტიკურმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა

ცანკოვის შურისძიება

სოფიის სამხედრო ტაძრის აფეთქების საქმე

ვენა, 12 მაისი. პროცესი სოფიის ტაძარში მომხდარ აფეთქების შესახებ თავდება. მოსმენილი იქნა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

ფრიდმანმა უკანასკნელ სიტყვაში აღიარა, რომ დამოკიდებულება ჰქონდა კომინტერნთან, რომელიც ანხორციელებს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას, მაგრამ განაცხადა, რომ კომპარტია წინააღმდეგია ინდივიდუალური ტერორის.

ბრალდებულმა სასამართლოს სთხოვა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მას ეკუთვნის სასჯელი, მიუსაჯონ მას დახვრეტა, რომ საშუალება ჰქონდეს მოკვდეს ისე, როგორც ჯარისკაცი თავის პოსტზე. ბრალდებული კოევი უარყოფდა თავის დანაშაულს.

ღასკალოვი და კამბუროვი მოითხოვდენ სასჯელის შემსუბუქებას.

ეკლესიის მსახურმა ზადგორსკიმ განაცხადა, რომ ის მოქმედებდა იძულების ქვეშ, რადგან აფეთქების მომწყობნი მას სიკვდილით ემუქრებოდენ.

განაჩენის გამოცხადება გადადებულია. პროკურორმა მოწმე პრეშმლიევს, პიკულოვას და მისი შვილის წინააღმდეგ აღძრა საქმე ბრალდებულთა დამალვის შესახებ; ეს მოწმეები, თითქოს, მალავდენ მთავარ ბრალდებულს. პროკურატურა მოითხოვს მათ სიკვდილით დასჯას.

განაჩენი.

ვენა. 12 მაისი. გამოცხადდა განაჩენი სოფიის ტაძრის აფეთქების საქმის შესახებ.

ზადგორსკის, ფრიდმანს, ამა დიმიტროვს, გრინჩაროვს, პე კოსაცკის და კოევს მიუსაჯეს ს დღიად დასჯა—ჩამოღრჩობა. ღას კალოვს მიუსაჯეს 6 წლის, კამბუროვს 3 წლის ცი მსჯავრ დადებულნი, გარდა ზადგორს უნდა დასაჯონ საზოგადო მოედ სოფიაში.

მსჯავრდადებულნი ამბა დიმიტროვი, გრინჩაროვი, ნი და კოსოვსკი მოკლულ პირველსავე დღეებში აფეთქ შემდეგ, რაც დადასტურებულ ოფიციალური ცნობებით.

43-ს საქმე.

ვენა. 12 მაისი. სოფიაში მო დარ აფეთქების შემდეგ თის ქალაქ ბრატ მრავალი პირები, რომლებსაც ლად ედებათ რევოლიუციონ შამ ა. პროკურატურამ აღძრა 43 დაპატიმრებულის წინააღ რომლებისთვისაც მოითხოვს ლით დასჯას განაჩენის გამოტ

ბულგარელი კომუნისტების დაპატიმრება.

ვენა. 12 მაისი. ბულგარელი მუნისტები ვიზოვი და სტოიანოვი, რომლებიც ამას წინად გაიქცნენ რუმინეთის ციხიდან, ხელახლა და ტიმრეს ტურნ-სევერინის აბ დაბა ბრადეში.

ტერორი რუმინეთში

რუმინელ რევოლიუციონერების სიმშილობა

ვენა, 12 მაისი. რუმინელ კომუნისტების პროცესის მეთერთმეტე დღეს სასამართლოში ვერ შესძლო გამოცხადება 20 ბრალდებულმა, რომლებიც დაავადმყოფდნენ შიმშილობის გამო. დობროჯიანუს მდგომარეობა საფრთხეშია. უკვე მეორე კვირაა, რაც მას შიმშილობა აქვს გამოცხადებული.

ბუქარესტის არმიის კორპუსის უფროსმა ნება დართო განთავისუფლებული იქნ[illegible] განაჩენის გამოტანამდე [illegible]

130-ის საქმე

ვენა, 12 მაისი. კიშინევის ხედრო სასამართლოში დაიწყო მუშის პროცესი. მათ ბრალად ედ ბენ შარმობ ბესარაბიაში ღრმ აჯანყებებში მონაწილეობას. დებულებმა, რომელთა საქმე ყოფილია იმათი საქმისაგან, ბიც პასუხისგებაში არიან მი ნი სამხრეთ ბესარაბიის აჯ მონაწილეობისათვის, გამოა შიმშილობა. ბრალდებულებ ტესტს აცხადებენ იმის წინააღ რომ მათ ასამართლებენ საომ სების კანონების მიხედვით ითხოვენ, რომ საქმე გადაეც ლებრივ სასამართლოს.

[illegible] საისტორიო-ეთნოგრაფიული [illegible] კომუნისტი

ინგლისის მუშა-ქალების დელეგაცია მოემგზავრება თბილისში

მაისის ბოლო რიცხვებში თბილისში ჩამოვა ინგლისის პროფმოძრაობის მუშა ქალების დელეგაცია, რომელიც ამჟამად მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში და ეცნობა ჩვენი მუშების და მუშა ქალების ცხოვრებას.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან:

ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს წევრები მერი ქვეილ (დელეგაციის თავმჯდომარე), ანნა ლოკლინ—მკერავთა კავშირიდან, ასპინოლ—ფეიქართა კავშირიდან (მუშა), ბრიჯ—მბეჭდავთა კავშირიდან, პერსელლი—სტენოგრაფისტი ქალი და კოუტსი—მთარგმნელი.

დელეგატებმა ინახულეს მოსკოვი და ამჟამად ლენინგრადში არიან. ყველგან ისინი დაწვრილებით ეცნობიან მუშების და მუშა ქალების ყოფა-ცხოვრებას.

ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლა არ შედიოდა დელეგაციის გეგმაში, მაგრამ დელეგაციამ შემდეგ გადაწყვიტა ინახულოს ამიერ-კავკასიაც.

დელეგაცია ამიერ-კავკასიაში გამოემგზავრება საბჭოთა საკავშირო ყრილობის დამთავრების შემდეგ. თბილისში ჩამოსვლამდე ისინი ინახულებენ ბაქოს.

თბილისში განზრახულია მოეწყოს ინგლისელ სტუმრების საზეიმო შეხვედრა. გაიმართება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და მუშა ქალების საზეიმო კრებები, რომლებზედაც გამოვლენ დელეგატები.

სხვათა შორის, ყველგან, საიდანაც დელეგატები გამოდიან, ისინი მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის მუშების და მუშა ქალებს იმ მატერიალური დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს საბჭოთა კავშირის მუშებმა ინგლისის მუშა ქალებს ლოკაუტის დროს ინგლისში.

თბილისში ინგლისელი დელეგატები დაესწრებიან სადელეგატო კრებებს ადგილებზე იმ მიზნით, რომ გაეცნონ მათ მუშაობას.

ინგლისის მუშა-ქალების დელეგაცია გაემგზავრება აგრეთვე ბათომში და სოხუმში.

პარტიული ცხოვრება

სოფ. შეუბანის კომუჯრედი

(რაჭის მაზრა)

თითქმის წელიწად ნახევარია მას შემდეგ, რაც სოფელ შეუბანში დაარსდა კომუჯრედი, რომელიც თავის გარშემო აერთიანებდა 28 ამხანაგს. წინად ამ რიცხვიდან 12 პარტამხანაგი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამ ჟამად კი ჩვენს რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით აღმოფხვრილია. ასეთ პირობებში ადვილი შეიქნა, რომ სოფლის მცხოვრებლებს შორის დაგვეწყო და გაგვეძლიერებია მუშაობა, კერძოდ კი ჩაგვება წერა-კითხვის უცოდინართა მასსა სალიკვიდაციო სკოლებში.

ზამთარში ადგილობრივი კომუჯრედის თაოსნობით გაყვანილი იქნა სოფლის მახლობლად ახალი გზა, დამზადებული იქნა აგრედვე სკოლის შენობის შესაკეთებლად საჭირო მასალა და სხ.

აქ ისიც უნდა ალვნიშნოთ, რომ ჩვენი უჯრედის წევრთა უმრავლესობას გამოწერილი აქვთ სხვადასხვა გაზეთები, რომლების საშუალებით ისინი აწვდიან სოფლის გლეხკაცობას სულიერ საზრდოს.

უჯრედის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ უჯრედის ყველა წევრები აქტიურად ჩააბან პარტმუშაობაში. სწორედ ამ მიზნით ბიურო უჯრედის თვითეულ წევრს [illegible] ავალებს საერთო კრებებზე, რომლებსაც ესწრება უპარტიო მასსაც, მოხსენებების გაკეთებას ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რათა ამ გზით დავიახლოვოთ თვით უპარტიო მასსაც და მათ შორის გავაძლიეროთ სათანადო მუშაობა.

პარტკორი გ. ნიკვილაძე.

სოფ. ბახვის კომუჯრედის მუშაობა

1921 წელს ბახვის ორგანიზაცია თავის გარშემო იკრებდა 25 პარტიის წევრს და კანდიდატს. დღეს კი პარტიის წევრთა რაოდენობა აღწევს 40-ს, კანდიდატთა რიცხვი 25-ს, ხოლო კომკავშირელთა 45-ს.

ბახვის ორგანიზაციაში ორი კომუჯრედია: ერთი ზედა ბახვის, მეორე ქვედა ბახვის. უჯრედებში კრებები იმართება კვირაში ერთხელ, ხოლო ორივე უჯრედის გაერთიანებული კრებები ორ კვირაში ერთხელ.

წელს სამაზრო კომიტეტი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს უჯრედების მუშაობას, ვიდრე ოდესმე. სამკომიდან ხშირად მოდიან მომხსენებლები, ჩამოდის თვით სამკომის მდივანიც.

მაგრამ აქ ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ ჩვენ საგრძნობლად მოვიკოჭლებთ სათანადოთ მომზადებულ ძალებით, აქტივის უყოლობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი უჯრედების ბიუროებმა ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება. ბიუროებმა საჭირო ზომები უნდა მიიღონ აგრედვე პარტამხანაგების შორის დისციპლინის მოგვარების საქმეში, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ამხანაგები აგვიანებენ სხდომებზე.

ამასთან ერთად ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა, რომ ქალთა შორის მუშაობაც, რომელიც ამ ჟამად მეტად მოიკოჭლებს,—გავაძლიეროთ.

ზედა-ბახველი.

საზაფხულო სეზონისათვის

დასასვენებელ სახლებში მუშების გაგზავნის წესი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, დასასვენებელ სახლებში—მცხეთაში, წაღვერში, ბორჯომში და სურამში პროფკავშირებმა თავისი წევრები უნდა გაგზავნონ შემდეგი წესით.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი: მაისის 16-31-დე მცხეთაში 2 კაცი, ივნისის 1—15-დე: წაღვერში—1, ბორჯომში—1, მცხეთაში—2; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—2; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—2; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—2.

სამთომადნო მუშაკთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—1; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—1, ბორჯომში—1, მცხეთაში—2, ივნისის 16—30-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—2; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—2; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—2.

მელითონეთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—23; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—19; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—19; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—21; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—20.

ქიმიკოსთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—6; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—1, მცხეთაში—4, ივნისის 16—30-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—4; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—1, მცხეთაში—4; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—20.

[illegible] კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—25; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—17; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—18; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—17; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—18.

ხეზე მომუშავეთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—3; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—2, ბორჯომში—1, მცხეთაში—3; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—2, ბორჯომში—1, მცხეთაში—3; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3.

აღმშენებელთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—5; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—4; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—1, მცხეთაში—4; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—4; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—1, მცხეთაში—4.

ფეიქართა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—3; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—2, ბორჯომში—1, მცხეთაში—3; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—3; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3.

მკერავთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—3; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—2, ბორჯომში—1, მცხეთაში—4; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—8, მცხეთაში—3; ივლისის 16—30-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—3.

[illegible] კავშირი: მაისის 16—30-დე: მცხეთაში—8; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—5, მცხეთაში—5; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—4, ბორჯომში—1, მცხეთაში 5; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—5, ბორჯომში—1, მცხეთაში—5; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—4, ბორჯომში—1, მცხეთაში—5.

მბეჭდავთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—20, ივნისის 1—15-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—17; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—18. ივლისის 1—15-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—2, მცხეთაში—18; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—14, ბორჯომში—2, მცხეთაში—18.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—4, ივნისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—5; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—1, მცხეთაში—5; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—4; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—1, მცხეთაში—5.

სახალხო [illegible] კავშირში: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—8; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—5, მცხეთაში—6; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—5, ბორჯომში—1, მცხეთაში—7; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—4, ბორჯომში—1 მცხეთაში—6; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—5, ბორჯომში—1, მცხეთაში—6.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—17; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—11, ბორჯომში—1, მცხეთაში—15; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—11, ბორჯომში—1, მცხეთაში—14; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—11, ბორჯომში—2, მცხეთაში—15; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—11, ბორჯომში—2; მცხეთაში—14.

სახალხო კვების კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—3; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—3; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—2, მცხეთაში—3; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—2, ბორჯომში—1, მცხეთაში—3.

მედ.-[illegible] კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—12; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—7, ბორჯომში—1, მცხეთაში—9; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—7, ბორჯომში—1, მცხეთაში—9; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—7, ბორჯომში—1, მცხეთაში—9; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—7, ბორჯომში—1, მცხეთაში—9.

საბჭოთა მუშაკების კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—23; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—20; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—15, ბორჯომში—2, მცხეთაში—21; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—16, ბორჯომში—2, მცხეთაში—20; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—16, ბორჯომში—2, მცხეთაში—21.

განათლების მუშაკთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში 32; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—21, ბორჯომში—3, მცხეთაში—25; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—21, ბორჯომში—3, მცხეთაში—26; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—20, ბორჯომში—2, მცხეთაში—26; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—20, ბორჯომში—3, მცხეთაში—26.

ხელოვნების მუშაკთა კავშირი: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—5; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—4; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—3, ბორჯომში—7, მცხეთაში—5; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—3, მცხეთაში—4; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—4, ბორჯომში—1, მცხეთაში—4.

რკინისგზელთა კავშირი: ივნისის 1—15-დე: წაღვერში 55, ბორჯომი—15; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—55, ბორჯომში—15; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—55, ბორჯომში 15; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—55, ბორჯომში—15.

წყლოსანთა კავშირი: ივნისის 1—15-დე: წაღვერში—12, მცხეთაში—5; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—13; ბორჯომში—5; ივლისის 1—15-დე: წაღვერში 12, ბორჯომში—5; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—5.

თბილისის დამზღვევი კასა: მაისის 16—31-დე: მცხეთაში—4; ივნისის 1—15-დე: წაღვერში—13, ბორჯომში—3, მცხეთაში—4; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—12, ბორჯომში—3, მცხეთაში—4; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—18, ბორჯომში—3, მცხეთაში—4; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—12, ბორჯომში—3, მცხეთაში—4.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო: ივნისის 1—15-დე: წაღვერში—19; ივნისის 16—30-დე: წაღვერში—18; ივლისის 1—15-დე: წაღვერში—18; ივლისის 16—31-დე: წაღვერში—19.

ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამი

არ გვრგა ასეთი მილიციის უფროსი!

(დ. წაღვერი)

წაღვერში მსახურობს სამილიციო პოსტის უფროსის თანამდებობაზე მ. ნ—შვილი *), რომელიც წაღვერის თემის მცხოვრებლებს მეტად უხეშად ეპყრობა. ხშირად ხდება ისეთი შემთხვევები, რომ გლეხები ერთმანეთ შორის სულ იმაზე ლაპარაკობენ, რომ ის იქნეს მოხსნილი წაღვერის სამილიციო პოსტის უფროსობიდან, ვინაიდან ცუდად ეპყრობა მათ და ისტუმრებს ყვირილით მთხოვნელებს.

მე შემთხვევით შევესწარი ასეთ ლაპარაკს გლეხებს შორის: არც ძველ დროს ყოფილა ასეთი ურიადნიკი, თანამედროვე ხანას არ შეჰფერისო.

მ. ნ—შვილი ამასთან ერთად ძველ ხერხებსაც მიმართავს. წაღვერში დიდი ხანი არ არის რაც წითელი სასადილო გაიხსნა, რომელშიც მისი შიშით ხალხს შესვლა არ შეუძლია, ვინაიდან დასხდებიან თუ არა საჭმელად, სამილ. პოსტის უფროსი იქ გაჩნდება და დაუპატიჟებლად დასცურავს მათ ჯამებში, მათ ხარჯზე ღვინოსაც თავის ხელით დაისხამს და დააყოლებს.

იყო ისეთი შემთხვევა, რომ გლეხები ისხდენ და სადილობდენ. როდესაც შებრძანდა ის სასადილოში, გლეხებმა დასტოვეს საჭმელი და გამოვიდენ გარეთ, რის შემდეგ დიდი ლაპარაკი შეიქნა.

ამავე წითელ სასადილოს გამგისაგანაც ხშირად გამიგონია მასზე, მ. ნ—შვილზე, რომ გლეხები მისი შიშით სასადილოში აღარ შემოდიანო.

დროა ასეთები აილაგმონ და მათი ადგილი დაიკავონ ისეთებმა, რომელნიც გლეხებს გაუწევენ ანგარიშს და გაიზიარებენ მათ ჭირ-ვარამს.

დამსწრე.

---

*) გვარი წერილში შემოკლებით არის მოყვანილი.

რ ე დ.

სოფლის ღირსება დავიცვათ, ხოლო ნათლიმამობას თავი დავანებოთ

(სოფ. ხაშმი)

სოფ. ხაშმის (გარე კახეთის რაიონი) შრომის სკოლაში სამ წელიწადზედ მეტია, რაც მსახურობს საფეიქრო დარგის მასწავლებლად თამარა ნაცვლიშვილი.

უკვე თავიდანვე მან ვერ დაიმსახურა ხალხის ნდობა და სიყვარული, რადგან ის ცუდათ იქცევა და ამ ბოლო ხანებში ხომ ისე გადააჭარბა, რომ საფეიქრო დარგის მოწაფეებმა გადასწყვიტეს „უნდა გავიდეთ სკოლიდან რადგან ამისთანა მასწავლებელთან სწავლა აღარ შეგვიძლიანო“ და ეს სიტყვები მართლა სისრულეში მოიყვანეს. ასე რომ შარშანდელ 25 მოწაფიდან წრეულს თამარა ნაცვლიშვილს მხოლოდ 6 მოწაფე-ღა შერჩა.

საქმე უმთავრესად იმაშია, რომ სკოლის გამგეობა არავითარ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას მიუხედავად იმისა, რომ მან დიდი ხანია ყოველივე კარგათ იცის. და რომ იცის, ეს კი შემდეგით მტკიცდება: 1924 წელს, შემოდგომას, სწავლის დაწყების წინ, მასწავლებელთა კრებამ მოილაპარაკა შინაურულად ეთხოვოს თამარა ნაცვლიშვილს მიატოვოს სასწავლებელი, რომ სკოლის პრესტიჟი არ დაეცეს. ამ საკითხის მოგვარება იკისრა ამხ. აბრამ გოგნიაშვილმა, გამგის თანაშემწემ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამხ. აბრამ გოგნიაშვილმა (რომელიც სხვათა შორის დიდი მომხრე იყო თამარა ნაცვლიშვილის გაძევებისა) საქმე სხვანაირად მოაგვარა. ეს მოგვარება საქმისა იმაში გამოიხატა, რომ თამარა ნაცვლიშვილს [illegible] ზედ [illegible] კი მოუნათლა, ხოლო ამხ. აბრამ კი მისი დიდი მეგობარი და ხშირი სტუმარი შეიქნა.

ამაზედ მთელი სოფელი ლაპარაკობს და ამ მითქმა-მოთქმით სკოლის პრესტიჟი ეცემა. ჩემის აზრით, არ იქნება ზედმეტი, რომ ვისგანაც ჯერ არს ამ საქმეს საჭირო ყურადღება მიექცეოდეს.

შორეული.

ჩვენი ფოსტა

მურია. ქ. ქვენობნელს. საჭიროა ფაქტები, რომელ გლეხებს არ მისცა მიწკომმა მიწა, სად ჩაიდინა მიწკომმა უსამართლობა.

* * *

ამირ-ბარს. გვაცნობეთ ყოველისფერი.

* * *

თბილისში. შავინს. შემოიარეთ რედაქციაში.

* * *

ოზურგეთი. მეგობარს.

ჩვენ დავბეჭდავთ ყოველ წერილს, მამხილებელს ძალმომრეობის, მოხელეთა უწესობის და ადმინისტრატიული ალვირახსნილობისას, თუ დანაშაულების დამამტკიცებელ საბუთს გამოგვიგზავნით, ან სწორ და უტყუარ ფაქტებს გვაცნობებთ, თუ იტყვით სახელდობრ სად, ვინ და რა ჩაიდინა, რა გააფუჭა. საჭიროა ჩვენთვის თქვენი ვინაობაც, **რომლის დაფარვის სრულ გარანტიას გაძლევთ**, როგორც ეს ჩვეულებათ გვაქვს გაზეთებს.

* * *

თელავში, იმ ამხანაგს, რომელმაც გამოგვიგზავნა წერილი ხელმოწერით **„ვწერ გაჭირვებული“.**

თქვენ იწერებით „სტრახის ფულზე“ და მილიციონერების თავგასულობაზე. იწერებით იმაზე, რომ „გამარჯვებულები ისინი არიან, ვისაც სასროლები უჭირავთო“. გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები დაწვრილებით ყოველგვარი უწესობის შესახებ ამ საქმეში, **დაგვისახელოთ „მომქმედი გმირები“**, სად, როდის და რა ჩაიდინეს მათ, **შეიძლება გაქვთ რაიმე საბუთებიც.** გარწმუნებთ, რომ „გამარჯვებულები“ მიიღებენ საკადრისს. **ხელისუფლება არ დაზოგავს არავის, ვინც არღვევს რევოლიუციონურ კანონს და წესრიგს.**

განათლების ფრონტზე

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვა.

განათლების კომისარიატთან არსებულ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილებამ წინადადება მისცა თავის რწმუნებულებს (მაზრებში) და ადგილობრივ აღმასკომებს, რათა ადგილებზე დაცული იქნას ისტორიული და არქიტექტურული მნიშვნელობის ყველა ძეგლები თანახმად საქ. ცაკის დადგენილებისა (№ 25, 1924 წ. 4 ივნ.

მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების შეკეთება.

ამავე განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა [illegible] იქნას საჭირო თანხა საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის დაზიანებულ ძეგლების შესაკეთებლათ. პირველ რიგში შეკეთებული იქნება ძეგლები: სვეტიცხოვლის, ჯვარის, ბოდბის, დატიმოთის უბნის, ყინწვისის, გერგერის, ჰულეს, კაცხის, უბისის, ხობის, წალენჯიხის და სხ.

7 წლიან შრომის სკოლებიდან.

9 წლიან შრომის სკოლებში გადასვლა შეუძლიათ იმ მოწაფეებს, რომლებიც სათანადო კოლოკვიუმებს ჩააბარებენ გაზაფხულზე და აგრეთვე შეასრულებენ საზაფხულო მუშაობას შემდეგ საგნებში: ბუნების მეტყველება, საქართველოს ისტორიაში, საზოგადოებათ-მეცნიერებასა და მათემატიკაში.

საქართველოს ექიმთა მე-3 კონგრესი

ა/წ. მაისის 24-ს ქ. თბილისში შესდგება სრულიად საქართველოს ექიმთა მე-3 კონგრესი. ზედმეტია ლაპარაკი ამნაირი კონგრესების სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ. წარსული ორი წლის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი ყურადღება მიიპყრეს მათ არა მარტო საექიმო, არამედ აგრეთვე ფართო საზოგადოებრივი წრეების. დარბაზი ვერ იტევდა ყველა მსურველს და ძლიერ ბევრი ვერ დაესწრო კრებებს უადგილობის გამო. 47 მოხსენება იყო წაკითხული საპროგრამო და არა საპროგრამო თემებზე.

უკვე იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა მე-2-ე კონგრესის შრომების კრებული. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების მხურვალე თანაგრძნობითა და დახმარებით უკვე გადადგმულია ნაბიჯები წარსული კონგრესის მიერ შემუშავებულ პრაქტიკულ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად.

მომავალი მე-3 კონგრესის საპროგრამო საკითხად გამოცხადებულია ისევ ტუბერკულოზი, მაგრამ მხოლოდ მისი გავრცელების და მკურნალობის მხრივ. გარდა ამისა წამოყენებულია ახალი საკითხი: ათაშანგი, მისი კლინიკა, გავრცელება და წამლობა. დაშვებული იქნება აგრეთვე მოხსენებები არასაპროგრამო თემებზე. უკვე 40-დე მოხსენების შესახებაა შემოტანილი განცხადება. საორგანიზაციო კომიტეტმა მიმართა მოწოდებით პროვინციელ ექიმებს, რათა უკანასკნელებმაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში, ვინაიდან ამ შემთხვევაში პრაქტიკული ზომები უფრო შეფარდებული იქნება ჩვენი ქვეყნის სინამდვილესთან. მიღებულია ზომები, რათა პროვინციიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნან უფასო ბინისა და იაფფასიანი სადილის მხრივ.

კონგრესი ხუთ დღეს გასტანს.

ქ.

ქრონიკა

— **მუშა ხელის დაქირავება.** საქ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად დამქირავებლებს აკრძალული აქვთ მუშახელის სხვა ადგილებიდან გამოწერა.

— **კოლექტივ-არტელებში** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, პირველ რიგში უნდა იგზავნებოდეს ის დაზღვეული უმუშევრები, რომელთაც აქვთ დაქირავებულ მუშაობის სტაჟი.

— **სახელმწიფო ენაზე.** შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა თბ. დამზღვევ სალაროს ყველა მისდამი რწმუნებულ დაწესებულებებში საქმე აწარმოოს სახელმწიფო ენაზე.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ.** მიმდინარე წელში საქონლის ჭირთან საბრძოლველათ, მთავრობამ გადასდო 15 ათასი მანეთი დამატებით.

— **აბრეშუმის თესლი.** წელს საქართველოში დამზადებული იქნა 35 ათასი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი.

— **ფიზკულტურა.** ამჟამად საქართველოში ითვლება 4 ათასამდე ფიზკულტურის წევრი.

— **მუშათა დასასვენებელი სახლის აგება.** ფ.-ტ. კომისარიატმა გადასდო 8,000 მან. ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე ფ.-ტ. მუშა-მოსამსახურეთათვის დასასვენებელი სახლის ასაგებათ.

— **სააგარაკო დაბა.** [illegible] ფ.-ტ. კომისარიატმა გადასწყვიტა ბორჯომის ახლოს გააშენოს სააგარაკო დაბა.

— **ტრამვაის ხაზის გაყვანა.** ტრამვაის დირექცია შეუდგა ტრამვაის ახალ ხაზის გაყვანას დიდუბის [illegible] მოედნამდე.

— **ქუჩების მორწყვა.** ტრამვაის დირექცია ამზადებს ქვაბებიან რონოდებს ქუჩების მოსარწყავათ.

— **წყალის მიწოდება.** აპრილის განმავლობაში ავჭალის წყალსადენმა ქალაქისათვის მიაწოდებია 35265535 ვედრო წყალი.

— **თბილისის ყველა** მიმართულებით ამჟამად მუშაობს 103 ტრამვაის რონოდა, მათ შორის 94 სამგზავრო.

— **ქალაქის აბანოებში** აპრილის განმავლობაში უბანავნია 111.401 მოქალაქეს.

— **შირაქის ნავთიან ადგილების ექსპლოატაცია.** სად. წნორის-წყალზე მიღებული იქნა მანქანები შირაქის ნავთიან ადგილების დასამუშავებლად.

— **ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციების** თანხების ბრუნვა ცაყიდვის საქმეში 25 წლის 1-ლ კვარტალში უდრის 4,776,238 მან., რუსეთის ტრესტების წარმომადგენლობების კი—2,451,515 მან.

— **მოზარდ მუშათა** ჯანმრთელობის შემოწმება სწარმოებს ენერგიულათ. ჯერ-ჯერობით შემოწმებულია 3,500 კ.

— **ჯანმრთელობის განყოფილებათა** სრ. საქართველოს ყრილობა გაიხსნება 15 მაისს სანიტგანათლების სახლში.

— **სარძეო დახმარება.** აპრილის განმავლობაში თბ. დამზღვევმა სალარომ გასცა სარძეო დახმარების სახით 11,339 მან.

— **დაზღვეულთათვის** საექიმო დახმარების გასაწევათ თბ. დამზღვევმა სალარომ ჯანსახკომის საექიმო განყოფილებას აპრილში გადასცა 61,183 მან.

— **საჰაერო საფოსტო კავშირი ევროპასთან.** 1 მაისიდან დაიწყო ჰაეროპლანებით მიმოსვლა მოსკოვ—კენიგსბერგს (გერმანია) შორის. ამიტომ ფ.-ტელეგრაფის კომისარიატმა გადასწყვიტა შეუდგეს ჰაეროპლანებით ფოსტის გადაზიდვას.

— **საქ. კოოპერაციამ** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჰქონდა საკუთარი თანხა 1,849,611 მან. ვალი კი 9,181,200 მან.

— **ბავშვების მეგობართა საზოგადოება.** კვირას, 17 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) შესდგება ბავშვების მეგობართა საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა წლიური კრება.

მცხეთაში მუშათა კოოპერატივის გახსნა.

თბილისის აღმასკომის საადმინისტრაციო განყოფილებამ მცხეთის თემ-აღმასკომის საბჭოს დადგენილების თანახმად აღძრა შუამდგომლობა ცეკავშირის წინაშე მცხეთაში მუშათა კოოპერატივის გახსნის შესახებ.

კოოპერაცია და სათანაბრო გადასახადი

ამიერ-კავკასიის სახ. კომის. საბჭოს აპრილის 28-ის სხდომამ უარყო ცეკავშირის შუამდგომლობა კოოპერატივის გასული სამეურნეო წლის ბრუნვების სათანაბრო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

სამთავისის კომუნა

(გორის მაზრა)

კომუნის დაარსება

სოფელ სამთავისის გლეხკაცობას საუკეთესო რევოლიუციონური წარსული აქვს. აქ რევოლიუციის თვალსაჩინო მომენტებში, თითქმის მთელი გლეხკაცობა ერთსულოვნურ აქტივობას იჩენდა. აქაურ გლეხკაცობას არ ახსოვს გამცემლობა, ღალატი, ჯაშუშობა და ამიტომაც საქართველოს გასაბჭოებიდან მათში უაღრესი ამხანაგური განწყობილება და გამტანი სიყვარული დღითი-დღე ღრმავდებოდა და მტკიცდებოდა.

აქაური მოსახლეობა სამოცი კომლს არ აღემატება. გლეხკაცობა ქონებრივად საშუალოზე დაბლა სდგას მიწის სივიწროვის გამო, მაგრამ აქ მაინც შესძლეს ის, რასაც უფრო ღონიერი სოფლები ვერ ახერხებენ. მაგ., აქ არა ჰქონდათ სასმელი წყალი და ამ დღეებში-კი აქაური გლეხკაცობა საუკეთესო სასმელი წყლის გამოყვანის ერთი წლის თავს იდღესასწაულებს. წყალი გამოიყვანეს რვა ვერსის მანძილზედ. ამას დასჭირდა თითქმის ერთი წლის მუშაობა და ამისათვის აქ შრომა არავის არ დაუ[illegible]არებია, არც ქალს და არც კაცს. იქ [illegible] მუყაითი კოლექტიური შრომით [illegible] მიიღეს ზიგ შუა სოფელში საუ[illegible] ხარისხის სასმელი წყალი. [illegible] მშვენიერი თაღი, საიდან [illegible] გადმოჩქეფს ანკარა [illegible] წყალი. წინ, სამი-ოთხი არ[illegible] მოშორებით არის გაკეთებული [illegible] ათ არშინამდე, რომელიც [illegible] წყლით მუდამ სავსე [illegible] და აქედან ასმევენ საქონელს.

სოფელში ზედმიწევნით სუფევს სისუფთავე და სიბინძურეს, რომლითაც სავსე არის ქართული სოფელი, საზოგადოთ, აქ ალაგი არა აქვს. ეტყობა, რომ ყველა ოჯახი შეგნებულათ მოვალეთა ხდის თავის თავს გზოების და გზების დაგვაში.

მაგრამ სამთავისლებს ეს მიღწევანი როდი აკმაყოფილებს. სამთავისლებს თავი კომუნისტებათ მოაქვთ, მათ დიდი საქმის გაკეთების უნარიც აქვთ და შეგნებაც. აქ გასაბჭოების პირველ წლებშივე ლაპარაკობენ კომუნის დაარსებაზე. და ასეთი კომუნა კიდევაც დააარსეს ფაქტიურათ 24 წლის ოქტომბრის თვიდან.

ჯერ საცდელათ გამოეყვენ ოცდა ერთი კომლი—სულ 87 სული. მათში შრომისუნარიანი არის 46, 21 მამაკაცი და 25 ქალი. 41 ბავშვია—დაწყებული ძუძუმწოვარიდან ვიდრე 12 წლამდე.

ამ 21 კომლში არიან 7—8 კომლი ყოფილი კარგა შეძლებული მეოჯახენი. ამათ, მაგალითად, ჰქონიათ ორ-ორ სართულიანი სახლებიც-კი, გამართული სარკმელი და სხვა, მაგრამ მათ კომუნის იდეა აინტერესებთ და არა თავიანთი ორსართულიანი სახლები. აქ ახდინენ მთელი უძრავ-მოძრავი ქონების სრულ გაერთიანებას, დაწყებული ქათმებიდან და სარკმლით გათავებული სახლებით, მამულ-დედულით, ავეჯეულობით და, წარმოიდგინეთ, ლოგინითა და ტანსაცმელითაც-კი! და ყველაფერს ამას ახდინენ იმისდა მიუხედავათ, თუ ვის რამდენი რამ გააჩნია. უნდა ითქვას-კი, რომ დიდ უმრავლესობას კომუნის წევრებისას სულ მცირე რამ გააჩნდათ, იყვენ ღატაკნი და სცხოვრობდენ ვიწრო, მინგრეულ ხვრელებში!

ეს შეიძლება ბევრისთვის გაუგებარი და დაუჯერებელი დარჩეს. ასეთებს ჩვენ ვეტყვით პასუხათ: „მობრძანდით და დარწმუნდით თქვენი საკუთარი თვალით“!

გასული წლის ოქტომბრის თავიდან ყველა ეს 87 სული აყრილან თავიანთი საბუდრებიდან და იწყობენ ერთ გაერთიანებულ ცხოვრებას, ერთ ჭერ ქვეშ, ორ შენობაში, ერთი გაერთიანებული ოჯახით, კოლექტიური შრომით, კომუნალური ქვაბით.

აქ ნამდვილი კომუნა განხორციელებული მთელი თავისი შინაარსით!

კომუნართა მუშაობა-საქმიანობა

კომუნარებმა არ იციან რვა საათის სამუშაო დღე. საქმე ბევრია, მას გაკეთება უნდა. აქ მაჩვენებელი, სამაგალითო საქმე კეთდება; აქ არ შეიძლება სამუშაო დროს განსაზღვრა, აქ იმდენი უნდა იმუშაო, რამდენსაც შეიძლებ.

ძლიერ ძნელია, ყოველ შეხვედრაზე ჩემთვის მაინც, აღწერო იმ თავდადებული, შეგნებული, რაინდული შრომისა, რასაც ესენი აქ აწარმოებენ.

დამუშავებული არის 100 დესეტინა ბაღ-ბოსტანი და სათესი მიწა. ყველა ამას ამუშავებენ კულტურულ ნიადაგზე, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ საჭირო და საკმარისი იარაღები, მაგრამ შეუდარებელი ნებისყოფა და ენერგია [illegible] დაბრკოლებასა სჯობნის. დამუშავებულია ხილ-ვენახი (უმთავრესად ხილეულობა) 10 დესეტინა; ბოსტნეულობა 15 დესეტინა, სადაც დათესილია ერთი დესეტინა ხახვი, სამი დესეტინი კარტოფილი, ხუთი დესეტინა კომბოსტო, ოთხი დესეტინა პამიდორი, ერთი დესეტინა სტაფილო, სამი დესეტინა კიტრი, სამი დესეტინა ლობიო; აგრეთვე დათესილია სიმინდი ათი დესეტინა, პური 30 დესეტინა, ქერი 20 დესეტინა, იონჯა 2 დესეტინა, აქვთ „პარნიკები“ და სხვა.

ამით არ ამოიწურება კომუნართა საქმიანობა და შრომის ნაყოფიერება. აქ უაღრეს საკვირველებას აქვს ალაგი. აქ იყო მთის ფერდობზე გავალი ჯირგვნარი. კომუნარები შებრძოლებიან ჯირგვნარს და სულ მოკლე ხანში ძირფესვიანად ამოუყრიათ. ამნაირად მათ შეუქმნიათ ახალი მშვენიერი გამოსადეგი საბოსტნე ალაგი სივრცით თხუთმეტი დესეტინა, სადაც ეხლა ლამაზად დამუშავებული კვლები არის გაკეთებული, უკვე დათესილი სხვადასხვა ზემონახსენებ მცენარეებით. ამ მუშაობის გრანდიოზულობას ამტკიცებს იქ დაყრილი აგროვებული ვეებერთელა გორები ძირიდან ამოყრილ ჯირგვებისა, რასაც მცირე ვარაუდით 500—600 საძნე ურემზე ვერ დასტევს!

თუ ვისმეთვის ეს დაუჯერებელი იქნება, მობრძანდეს და თავისი თვალითა ნახოს.

ყველაფერი ეს გაკეთებული და უკვე დამუშავებულია 46 შრომის უნარიან კომუნარისაგან—ქალისა და კაცისაგან ერთად.

ამათი მუშაობა-აღმშენებლობა ამითაც არ ამოიწურება. კომუნას ჰყავს 10 ცხენი, რვა უღელი ხარ-კამეჩი, 13 ძროხა, 10 მოზარდი წვრილფეხა საქონელი, ასი ფრთა, 20 დედალორი 30 გოჭით. ამათ ხომ მიწა უნდათ. თვით კომუნარებსაც მიწა უნდათ. ახლა 87 სული რაღაც ოთხ-ხუთ ოთახში არიან გამომწყვდეული, და აი, ბინის ირგვლივაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. უკვე დაწყებული აქვთ საერთო ბინის აშენება 24 ოთახის ანგარიშით; ორი ფართე ქვიტკირის სასაბძლე თითქმის უკვე მოთავებულია, ამზადებენ მასალების აშენებას და სხვა. და როგორ გგონიათ; რა საშუალებით რა თანხებით? ფული ამათ არ გააჩნიათ. სხვადასხვა დაწესებულებები დაპირებიან სესხს, რისთვისაც გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვასო ქურდაძე დიდ მეცადინეობაშია, მაგრამ ჯერჯერობით ფული არსაიდან არა სჩანს და კომუნა დიდად ჩაფიქრებულია ამის გამო. და აქ, ვგონებ, თუ მთავრობა არ დაეხმარა, საქმე ძლიერ გაუჭირდებათ. კომუნა თხოულობს მხოლოდ სესხს და სრული იმედი აქვს და საქმეც ამტკიცებს, რომ ვალს პირველ წლებშივე გადაიხდის.

კომუნართა რევოლიუციონური რაინდობა.

უსახსრობა კომუნარებს გულს არ უფუფქებს, ენერგიას არ უკარგავს. რაც მეტი დაბრკოლება ხვდებათ, მით უფრო მტკიცდება, ათკეცდება მუშაობის სურვილი. აქ მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი ან გამარჯვება და ან სიკვდილი. ასეთია პასუხი ყველა კომუნარისა და ამას იძახიან კომუნის უმთავრესი ხელმძღვანელები **ამხ. გიორგი უზნაძე და საშა ცხვეთაძისა.**

ესენი ახალის ასაშენებლათ ძველს ანგრევენ. რამდენათაც წინ მიდის დაწყებული შენობების შენება,—ანგრევენ ძველ, თავიანთ მამა-პაპეულ სახლებს და იმ მასალას, ქვას, კრამიტს და სხ. ახმარებენ ახალს. ოთხ-ხუთი ძველი ბინები უკვე დაუნგრევიათ ახალი შენობებისათვის მოსახმარათ. რიგ-რიგობით ანგრევენ დანარჩენსაც. ზოგი ძველი შენობები ორსართულიანი და კაპიტალურიც არის, მაგრამ აქ მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი—ძველის ხსენება არ უნდა დავტოვოთო. ეს ზღაპარი არ არის,—ეს ფაქტია.

კომუნის ორგანიზაცია.

კომუნას ჰყავს არჩეული კომიტეტი 7 პირისაგან შემდგარი, ოთხი კაცი და 3 ქალი, და გამოყოფილი პრეზიდიუმი სამი ამხანაგისაგან. ეს კომიტეტი და უმთავრესად კი პრეზიდიუმის წევრები აწყობენ და მართავენ კომუნის საქმიანობას. კომუნას ჰყავს არჩეული სამი პირისაგან საამხანაგო სასამართლო. მთელ კომუნაში სამი პარტიულია და 5 კომკავშირელი; ამის გამორკვევა არც ისე ადვილი საქმე იყო. „როგორ, განა ჩვენ ყველა კომუნისტები არა ვართო!“ ასე მიპასუხეს და კიდევაც იუკადრისეს და მართლაც განა ყველა ამ შესანიშნავი კომუნის წევრი კომუნისტი არ არის? „რა ვუყოთ, რომ ჩვენ წიგნაკები არა გვაქვსო“! მართალია, აქ ფორმას შინაარსმა გაუსწრო.

სასადილო საერთო აქვთ. ყველა ქალი, კაცი, ბავშვები ერთ დროს, ზარის რეკით იკრიფებიან სასადილოში. სასმელ-საჭმელი სოფლურია—გლეხკაცური, მაგრამ დროზე ჭამასმა, სისუფთავე თავის გავლენას ახდენს და აკი ყველანი და მათ შორის ბავშვებიც სალღათ გამოიყურებიან.

აქ ყველა მუშაობს. აქ უაღრეს ამხანაგურ განწყობილებას აქვს ალაგი. სამაგალითო დისციპლინა. ერთი სიტყვით აქ გარდაქმნილან ადამიანები. აქ გინებას, უზრდელ სიტყვა-პასუხს ადგილი არა აქვს. ყველანი ერთი-მეორეში სიყვარულით არიან დაკავშირებულნი, ზრდილობიანად ექცევიან ერთი მეორეს. ჩხუბს, ერთი-მეორის ცემა-ტყეპას ბავშვთა შორის აქ ვერავინ შეხვდება, აქ სულ ახალი ცხოვრებაა, ახალი აღზრდა, ახალი კომუნისტური სკოლაა.

კომუნას აქვს ფურნე პურის გამოსაცხობით, ჰყავთ ერთი დურგალი, ორი ნალბანდი, ერთი ხარაზი, ერთი კალატოზი, ორი კრამიტისა და აგურის ოსტატი, აგრონომი-პრაქტიკი, დალაქი, მკერვალი ქალი,—რომელთაც თავიანთ ხელობის საქმე თუ არა აქვთ, ან არ ყოფნით, მუშაობენ სხვა ყველანაირ საქმეზეც. ყველა ესენი დაქირავებული კი არ არიან, არამედ ესენი არიან კომუნის წევრი გლეხები.

ამხ. ამხ. გიორგი უზნაძე და საშა ცხვეთაძისა.

ამხ. გიორგი უზნაძე კომიტეტის თავმჯდომარე და მთავარი ხელმძღვანელია კომუნისა. დიდ მეცადინეობაშია და დაუღალავად მუშაობს კომუნის საქმეების უფრო და უფრო გაუმჯობესებისათვის. ეს ხან ერთი დაწესებულებას ეცემა და ხან მეორეს შველა-დახმარებისათვის. მისი სიტყვით აუცილებლად საჭიროა, რომ კომუნას მიეცეს სესხათ, მოკლე ვადით, ორი ათას თუმნამდე, რაც კომუნის საქმეს მთლად დააგვირგვინებს. აი, ეს ამხანაგი არის ერთი კომუნართაგანი, რომელმაც რამდენჯერმე ერთი დღის განმავლობაში გაიმეორა, ჩვენ „დახოცვა გვირჩევნია, ვინემ ის, რომ ჩვენს მიზანს არ მივაღწიოთო“!..

ამხ. საშა ცხვეთაძისა—ეს ქალი მასწავლებელი ყოფილა ამ სოფელში. ამ პროფესიისათვის თავი გაუნებებია და შესულა კომუნაში თავისი ორსართულიანი სახლკარით და სარჩო-საბადებლით. ესეც ერთი საყვარელი პიროვნებაა მთელი კომუნისა. ისეთი ხალისით და გატაცებით მუშაობა, როგორც იგი მუშაობს (მაგრამ აქ ყველა კომუნარი ერთი მეორეს ეჯიბრება!), სრულ იმედს იძლევა, რომ კომუნა სულ მოკლე ხანში თავის სიმაღლეზე ავა და შეიქნება სამაგალითო. „ჩვენ მალე მთელ სოფელს შემოვიერთებთ კომუნაშიო“,—იძახიან ეს ამხანაგები, რადგანაც დანარჩენი გლეხებიც ყოველ დღე იხვეწებიან—ჩვენც მიგვიღეთო.

თხოულობენ დახმარებას, არა მარტო თანაგრძნობით, არამედ რეალურათაც. „ჩვენ დაგვეხმარეთ და შეძლებთ კომუნის განმტკიცებას, როგორც საუკეთესო მაჩვენებელს და გამომხატველს კომუნისტური პარტიის მიზნისასო“!

საბჭოთა ხელისუფლება სამთავისის კომუნას უყურადღებოდ ვერ დასტოვებს.

თობ[illegible]იაშვილი.

მუშათა ცხოვრება

პლეხანოვის სახ. კლუბში

პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგა ობ. მთ. სახელოსნოების ადგილკომის სადელეგატო კრება, რომელსაც დაესწრენ პროფკავშირის წევრებიც. მოსმენილ იქნა ექიმ დავინიანის მოხსენება „ტუბერკულიოზის" შესახებ. მან გასაგებ ენით განმარტა, თუ რამდენად მავნებელი სენია ტუბერკულიოზი, რამდენი მსხვერპლი მოაქვს მას, როგორ გავრცელებულია ის განსაკუთრებით მუშებში და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას. მან აღნიშნა, რომ არ „არის ისეთი საშინელი მტერი—სენი კაცობრიობის, როგორც ტუბერკულიოზია" და მოიყვანა სტატისტიკა, რომ „წასულ ომში არ დახოცილა იმდენი (ომის ხნის განმავლობაში) რამდენიც ტუბერკულიოზმა იმსხვერპლა. დღეს დიდ პრობლემათ დგას ამ საკითხის დადებითად გადაჭრა კაცობრიობისათვის".

მოხსენების შემდეგ კრებამ დაამტკიცა 40-მდე კავშირის წევრი და მთ. სახ. კომიტ. ოქმები, შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო.

კარგი იქნება, რომ ხშირად იმართებოდეს, იკითხებოდეს, ისმებოდეს ჩვენს კრებებზე ასეთი მეცნიერული ხასიათის ლექციები—განსაკუთრებით მედიცინა, გიგიენის სფეროდან. ეს ძლიერ აინტერესებს ჩვენს მუშებს.

მუშა **სიონელი.**

უნდა ალაგმოთ ეს გაბოროტებული კაცი

ის მოვლენა, რომელზედაც ჩვენ აქ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ვისიც ჯერ არს, ყოველივე თავხედობას სცილდება. ამხ. ვ. და ს. ბრეგაძეები (ორივე საბჭოთა მოსამსახურეებია) 1922 წელში ცხოვრობდენ მოქ. **ტერ-დავიდოვის** სახლში.

მოქალაქე ტერ-დავიდოვი მუდამ ემუდარებოდა ამხ. ბრეგაძეებს გაენთავისუფლებინათ მისი ბინა და შეძლება მიეცათ მისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებში გაექირავებია იგი.

სამაგიეროდ იგი პირდებოდა მათ, რომ თუ გადავიდოდენ, ბინის ქირიდან იგი მათ გაანთავისუფლებდა და ბოლოს და ბოლოს ტერ-დავიდოვის ხვეწნა-მუდარა იმდენად მომაბეზრებელი შეიქნა, რომ ისინი შეპირდენ მას პირველ შემთხვევისთანავე გაენთავისუფლებინა ბინა და კიდეც გაანთავისუფლეს იგი. მოქ. ტერ-დავიდოვმა მაშინვე გააქირავა ეს ბინა თვეში 60 მანეთად, მაგრამ გალეიძებულმა მადამ თავხედი ადამიანისამ ეხლა მეტი მოინდომა და არ გასულა დიდი დრო, რომ უჩივლა ამხ. ბრეგაძეებს ბინის ქირის შესახებ. აგერ მესამე წელიწადია, რაც უსაქმური ტერ-დავიდოვის წყალობით იბარებენ სასამართლოში ამხ. ბრეგაძეებს და აცდენენ სამსახურს.

მოქ. **ტერ-დავიდოვი** ინჟინერია; ყველამ ვიცით, თუ რამდენად სჭირდება ჩვენ მუშურ სახელმწიფოს სპეცი და მასთან ინჟინერი. მაგრამ ეს ვაჟბატონი გაურბის საბჭოთა სამსახურს. ის არსად არ მსახურობს და არც ფიქრობს იმაზე, რომ თავისი ცოდნით დაეხმაროს საბჭოთა აღმშენებლობას.

ის ფიქრობს მხოლოდ იმაზე, თუ ვის და როგორ წაგლიჯოს ბინის (რაც შეიძლება) მეტი ქირა, და ვინ გააგდოს თავის ბინძურ კლანჭებში.

თვითონ არ სურს სამსახური, სხვებსაც აცდენს სამსახურს და თავის ბნელი საქმეების მოსაგვარებლად არას დაგიდევს.

თვით უსაქმური სპეკულიანტიც, ხელს უშლის სხვებს.

საჭიროა, ალაგმოთ გაბოროტებული ინჟინერი—საბოტაჟნიკი.

მუშკორი **მართლმსაჯული.**

ტყიბულის მაღაროებში

(სოც.-დაზღვევის სამმართველოს საყურადღებოდ).

ტყიბულის მაღაროებში არსებობს ტყიბულის რაიონის დამზღვევი კასა, რომლის ხელში ირიცხება 1,100-ზე მეტი დაზღვეულ მუშა-მოსამსახურენი. ამ ბოლო ხანებში ისე წავიდა საქმე, რომ კასას ხშირად არ მოეპოვება თანხები დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი; მოდიან მუშები ამა თუ იმ კუთვნილ ფულის ასაღებად და ისინი ფულის მაგივრად უარს ღებულობენ. გამოურკვეველი მდგომარეობაა შექმნილი ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაციისა და დამზღვევ კასას შორის, ვინაიდან საპროცენტო ანარიცხების რაოდენობას მაღაროების წარმოება იხდის 10 პროც. და კასა კი თხოულობს 12 პროც. ეს გარემოება შექმნილია არა ადგილობრივად, არამედ ცენტრიდან—უმაღლეს სამეურნეო საბჭოსა და სოც.-დაზღვევის სამმართველოს შორის, პირველი იძლევა 10 პროც. და მეორე თხოულობს 12 პროც.

ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ 1925 წ. 1-ლ იანვრიდან მაღაროების წარმოებას 10 პროც. ანგარიშიც არ გაუსწორებია და დაწყებული 1 იანვრიდან დღემდე რაღაც 2,500 მანეთამდე არის შეტანილი დამზღვევ კასაში და ეს. იმ დროს, როდესაც ყოველ დღე კარზე ადგიან მუშები კასას ფულის მისაღებად.

ეს მდგომარეობა ყოვლად შეუძლებელია ასე გაგრძელდეს, ამიტომ რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოაგვაროს ეს საკითხი ვისაც ეხება.

ტყიბულელი **ს. ბრეგაძე.**

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **პლენუმი.** ა | კ. რკინისგზელთა პროფკავშირის მე-3 პლენუმი შესდგება მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში.

— **სოცდაზღვევის წრეები.** ახლო ხანში რკ. გზ. დამზღვევ საუბნო სალაროებთან მოეწყობა სოცდაზღვევის წრეები.

— **სანიტარული განათლების კუთხეები.** ა | კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველო რკ. გზ. სკოლებთან აწყობს სანიტ-განათლების კუთხეებს.

— **ადგილობრივ ენებზე.** ა | კ. რკ. გზ. დიმზღ. სალარომ მიმართა საუბნო სალაროებს, რომ ანგარიშები იგზავნებოდეს ადგილობრივ ენებზე.

— **საწარმოო თათბირი.** სამტრედიის დეპოს ადგილკომმა დაადგინა მაისში მოიწვიოს საწარმოო თათბირი.

— **ხელოსნების ჯამაგირი.** სად. შორაპნის ადგილკომმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს, რათა ხაზზე მომუშავე ხელოსნებს მიეცეთ მუდმივი თვიური ჯამაგირი.

— **კავშირის წევრთა აღრიცხვა.** ტფ. საქონ. სადგურის ადგილკომმა დაასრულა კავშირის წევრთა აღრიცხვა, აღრიცხულია **სულ 480 კაცი.**

— **„ლენინის კუთხე"** ახლო ხანში ტფილისის საქონლის სადგურის ადგილკომი აწყობს „ლენინის კუთხე"-ს საზეიმო გახსნას.

— **კურტნები მუშებისათვის.** თბ. საქონ. სადგურის ადგილკომმა მიმართა ადმინისტრაციას გასცეს მუშებისათვის საჭირო კურტნები და ხელთათმანები.

— **საწარმოო კომისიების გადარჩევა.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოახდინოს საწარმოო კომისიების გადარჩევა მთელს უბანში.

— **გამოცდები.** დასრულდა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში პოლიტწრეების მსმენელთა გამოცდები.

პროვინციაში

მოგვაშორეთ ასეთი მასწავლებელი

სოფ. სეფიეთი (სენაკის მაზრა)

სოფ. სეფიეთში არსებობს 7 წლ. შრომის სკოლა. სკოლაში გამგეთ არის ამხ. ნ. შუბლაძე. სხვა მასწავლებლებთან ერთად ამავე სკოლაში მასწავლებლობს ალ. კეკელია.

სკოლის გამგე იმისთვის არის გამგე, რომ მან ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სწავლა-განათლების საქმეს სკოლაში. ყველაზე მეტად ის არის პასუხისმგებელი სკოლაში წესრიგის დაცვისა და სწავლის სწორად დაყენებისათვის. ამავე დროს მასწავლებლობაში თუ არ არის ერთმანეთისადმი ნდობა და პატივისცემა—ისე ნორმალური მუშაობა სკოლაში შეუძლებელია.

სამწუხაროდ, აღმაშფოთებელ სურათს ჰქონდა ადგილი სეფიეთის 7 წლედში 30 აპრილს.

დილაა... მოწაფეები და ზოგი მასწავლებლებიც სკოლაში მოგროვილან. აქვეა გამგე შუბლაძეც.

გადის დრო... უკვე სწავლის დაწყების ჟამია, მაგრამ ზოგიერთი მასწავლებელი და მათ შორის მასწავლებელი ალ. კეკელიაც არ სჩანან. უცადეს... მაგრამ დროც კარგათ გადავიდა და გამგემ დარეკა... დაიწყო სწავლა... კეკელიას გაკვეთილზე, იმ მიზნით რომ მოწაფეები არ გაცდენილიყვნენ, შევიდა ამხ. ნ. შუბლაძე. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მასწავლებელი ალ. კეკელია.

მას არ მოეწონა, რომ გამგემ სწავლა დაიწყო უმისოთ და ჩხუბი დაუწყო გამგეს. ცოტა ხნის შემდეგ სილაც გააწნა შუბლაძეს იქვე სკოლაში; მასწავლებელთა თვალწინ გაიმართა ორივეს შორის ხელჩართული ჩხუბი. მოწაფეებმა და მასწავლებლებმა ძლივს გააშველიეს მოჩხუბარნი.

სათანადო ცნობა მიეუვიდა სამაზრო განათლების ინსპექტორს. საქმეს მიეცა კანონიერი მსვლელობა, ხოლო მანამდის ორივე მასწავლებლები გადაყვანილ იქნენ სხვა და სხვა სკოლებში.

რა მოხდა?..

განა აღმაშფოთებელი არ არის, როდესაც მასწავლებელი კეკელია, იმისთვის, რომ მას დააგვიანდა დროზე მისვლა სკოლაში, მუშტი-კრივით უმასპინძლდება სკოლის გამგეს და ჩხუბ-ალიაქოთს სტეხს მოზარდ თაობის წინ?..

ან როგორ უნდა აღზარდოს ასეთმა მასწავლებელმა ბავშვები?..

განათლების ინსპექტორმა მაგრათ უნდა დაიკავოს რკინის ცოცხი და გაცოცხოს ყველა კეკელიასთანა მასწავლებლები შრომის სკოლებიდან!..

ხელები შორს პატიოსან მასწავლებლებისაგან!..

სკოლებიდან შორს კეკელიები!..

ბანი.

ინტრიგებს ბოლო მოუღეთ

(ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოდ)

წალკის რაიონში არის ორი თემი: ქვემო წალკის და ზემო წალკის. ქვემო წალკის საექიმო პუნქტს განაგებს ექიმი ამხ. მიხეილ როზენფელდი, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

მაგრამ მის ნაყოფიერს მუშაობას ხელს უშლის შემდეგი გარემოება:

ჯანმრთელობის განყოფილებიდან წალკის რაიონში გამოგზავნილია ახალგაზრდა ექიმი მოქ. მიხაილიდი, რომელსაც დავალებული აქვს ლექციების კითხვა სოფლად, მაგრამ მოქ. მიხაილიდი ლექციების კითხვის გარდა ყველას ვინც არ უნდა იყოს—ღარიბი თუ მდიდარი—უწერს უფასო რეცეპტს, რომელზედაც აწერს „უფასო", კანონით კი წამალი ეძლევა უფასოთ მხოლოთ ღარიბ გლეხებს და რა თქმა უნდა საექიმო პუნქტის გამგე ამხ. როზენფელდი არ ეთანხმება მიხაილიდს ასეთ უკანონო მოქმედებაში, რაც იწვევს მიხაილიდის მხრივ უკმაყოფილებას როზენფელდის წინააღმდეგ და ამხედრებს გლეხებსაც მის წინააღმდეგ. მიხაილიდი გლეხებს ეუბნება: „მე გამოგიწერეთ უფასო წამალი, მაგრამ როზენფელდი არ გაძლევთო"—ეს გლეხებში იწვევს უკმაყოფილებას როზენფელდის წინააღმდეგ. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ბოლო მოეღოს ყოველგვარ ინტრიგებს.

დ. გორდაძე.

როგორ მუშაობენ ჩვენი სოფლის საბჭოთა და საზოგადოებრივი დაწესებულებები

სოფ. შუხუთი (გურია)

ჩვენს სოფელს აქვს სამაგალითო სამკითხველო ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობით. იშვიათად თუ იქნება სოფლად ასეთი მოწყობილი სამკითხველო. სამკითხველოს გამგე აწყობს მასიურ კითხვა-საუბრებს, და ურკვევს გლეხობას სხვადასხვა კითხვებს. სამკითხველოს მოსდის შვიდი სხვადასხვა გაზეთები ყოველდღიურად, მათ შორის ზოგი ორ ცალადაც; ამას გარდა ავრცელებს გლეხობაში ყოველდღიურად ორმოცდახუთ ცალ გაზეთს. გამოდის ადგილობრივი კედლის გაზეთიც, რომელიც ძალიან აინტერესებს გლეხობას. ხშირათ ეწყობა ლიტერატურული გასამართლება. ამ დღეებში გასამართლებული იქნა პირველად „გოგია უიშვილი" და მეორედ „ელეონორა". აღსანიშნავია დ უღალავი მუშაობა ამხ. ალ. ბზეკალავასი, რომელმაც მატერიალური დახმარება გაუწია კულტ. დაწესებულებებს. არ შეიძლება თემმა არ იამაყოს მასწავლებლებითაც, რომელნიც სკოლაშიც და ხალხშიც პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას.

გლეხკომიც ენერგიულად მუშაობს, რისთვისაც მას საზოგადო კრებამ მადლობა გამოუცხადა.

ამჟამად ჩვენი სოფლის საბჭოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს სკოლის შენობის დამთავრება.

სწარმოებს ენერგიული ბრძოლა ღოთობასთან.

ა. ფიცხი

პროვინციის ქრონიკა

— **ჭიათურის** მუშკოოპს განზრახული აქვს გახსნას ჭიათურის სავაჭრო მოედანზე სავაჭრო კიოსკები, კერძო ჩარჩ-ვაჭრებთან ბრძოლის მიზნით.

— **შენობების აგება.** სოფ. მონასტერის (სამხ. ოსეთი) აღმასკომმა დაადგინა აგოს შენობები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებათათვის.

— **შორაპნის სამ.** აღმასკომმა გადასწყვიტა დაიქირავოს კიდევ ერთი მიწისმზომელი, მიწის საკითხების დროზე მოსაწესრიგებლათ.

— **სასამართლოები სოფლად.** ბორჩალოს აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სახ. კომისარიატის წინაშე, რომ ბორჩალოს მაზრაში კიდევ გახსნას 2 სასამართლო.

— **სათესლის სესხი.** თელავის აღმასკომმა საკრედიტო კოოპერატიულ ბანკს გადასცა მთავრობის მიერ გადადებული 13 ათასი მან. გლეხებისათვის სათესლის სესხის მისაცემად.

— **სენაკის აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის** განყოფილებამ აპრილის განმავლობაში ულარიბეს გლეხობას დახმარების სახით მისცა 225 მან.

ხიდების აგება. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა გადასწყვიტა შეუდგეს ხიდების გაკეთებას სოფ. ტიბოტში (როკის რაიონი) და სოფ. კოხათში.

— **ფოსტა სოფლად.** სიღნაღის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს სოფ. კაკრეთში გახსნას ფოსტის განყოფილება.

— **ალაზნის არხის გასაყვანათ** სწარმოებს დაჩქარებითი მუშაობა. მუშებს კუბიკურ საჟენის გათხრაში ეძლევა 2 მ. 50 კ.

ხელოვნება

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამგზავრება.** გუშინ დასრულდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლები. სამხ. თეატრის მიერ გამართული იქნა სულ 17 წარმოდგენა, აქედან რამოდენიმე წარმოდგენა მუშებისათვის. დღეს სამხ. თეატრი მიემგზავრება ბაქოში სავასტროლოთ. 12 მაისს თეატრის მთელმა შემადგენლობამ სტანისლავსკის მეთაურობით ინახულა და ყვავილებით შეამკო გრიბოედოვის, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის საფლავები. ამავე დღეს საღამოს საოპერო სტუდიამ ა. ფალავას თაოსნობით მათ საპატივისცემოთ გამართა მოწაფეთა კონცერტი.

— **ეგონ პეტრის კონცერტი.** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება ცნობილი პიანისტის ეგონ პეტრის კონცერტი საინტერესო პროგრამა.

— **ახალი ოპერეტა „მარიცა".** მზადდება და მაისის 17 დაიდგმება სახელმწიფო საოპერო თეატრში კალმანის ახალი ოპერეტა „მარიცა". მონაწილეობენ საუკეთესო ძალები, მომღერალთა გუნდი, ბალეტი და სხვ. დირიჟორობს სახალხო არტისტი ივანე ფალიაშვილი.

— **დოღი.** კვირას, 17 მაისს, გაიმართება დოღი საუკეთესო ჯიშის ცხენების მონაწილეობით. საუკეთესო ფაშატებისთვის—პირველი ჯილდო—150 მან., მეორე—100 მან. ჯილდოს ნიშნავს ცეკავშირი.

დღეს კინოებში

— აპოლო—„მესსალინა".

— არფასტო—„მუსტანგების წინამძღოლი".

— სოლეი—„მაცდუნებელი".

— მინიონ—„დედოფლის საყვარული".

— პალას—„ელენეს მოტაცება".

— თვითმფრინავი—„ციხე და სასახლე".

შემთხვევები

— **თავის მოწამვლა.** 12 მაისს ღამით მიასნიკოვის ქ. (სახლი უნომროა) თავი მოიწამლა მოქ. ტლიკაძემ, რომელიც გადაგზავნილი იქნა რესპუბ. მთავარ საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

— **დაჭრა.** 12 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე მალაკნის ქ. № 42. მოქ. რუბენ მურადოვმა რევოლვერის წმენდის დროს უცაბედათ დასჭრა ფეხში თავის ცოლის ძმა კარაპეტ არზუმიანცი. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— **როსკიპების მოტაცება.** 12 მაისს ქსენიევის ქუჩიდან ღამით მოქ. აბრამ ბარტულაშვილმა ავტომობილით მოიტაცა ორი როსკიპი ქალი ოლღა თომაშვილი და მიძინა ბერიძე, მაგრამ უკანასკნელების ატეხილ ყვირილის გამო განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და მიიმალა. შოფერი გრიგოლ არუთინოვი და მისი თანაშემწე მკვივანი შეიპყრეს.

— **სატყეო განყოფილების** კანცელარიიდან (მუშტაიდის კუთხე) მოიპარეს 120 მან. სხვა და სხვა ნივთები.

— **ქურდობა.** 11 მაისს დღით წყნეთის ქ. № 22 მოქ. ვასილ ბერიძის ბინიდან მოიპარეს 58 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ღამით მე-2 უმწყობრო გუნდში დერეფნიდან მოპარული იქნა 3 ფარაჯა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 14 მაისს, დღის 3 საათზე ლენინის რაიკომთან ქალთა განყოფილებაზე შესდგება ორგანიზატორ ქალების თათბირი. დღის წესრიგი: მოხსენება ორგანიზატორებისა თავის მუშაობის შესახებ.

1. დეპოდან ამხ. გეგეშიძე.
2. სამმართველოდან ამხ. ნათ. ხელაძე.
3. მე-21-ე კურსანტების ორგანიზატორ ქალის მოხსენება.
4. მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა ორგანიზატორ ქალების აუცილებელია.

— რემედასის მესამე რაიონის საბჭო იუწყება: დღეს, 14 მაისს, სწორეთ საღამოს 6 ნახ. საათზე რაიკომის სააგ.-საპროპ. განყოფილებაში გაიმართება რემედასის უჯრედების ბიუროების საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) რემედასის ცეკას პლენუმის შედეგები, 2) დღიური საკითხები. დასწრება სავალდებულოა საბჭოს და ბიუროს ყველ წევრებისათვის.

— დღეს, 14 მაისს, საღამოს 6 საათზე კლუბში „მუშათა პრესა" გაიმართება მუშკორთა წრის მორიგი მეცადინეობა გაზეთის საქმის შესასწავლათ.

მოხსენება ამხ. შახოვისა: „მუშათა პრესის ისტორია რუსეთში".

მუშკორთა ბიურო.

— არსრაიკომი იუწყება: შაბათს, 16 მაისს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტ. კლუბში შესდგება უჯრედების ბიუროების კონფერენცია არსრაიკომის დელეგატებთან ერთად.

დღის წესრიგი: ამხ. სვანიძის მოხსენება: **„საერთაშორისო კაპიტალის განმტკიცება და კომინტერნის ამოცანები".**

მდივნის მაგიერ—წითლაძე.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფ. წინადადებას აძლევს—ამხ. გეგეშიძეს—დღეს 14 მაისს, 12—2 საათამდის გამოცხადდეს ამხ. ბუდილევთან.

თ. კ. მდივანი—ახრიბეკოვი.

— ს. კ. პ. ცეკას სააღრ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. გრიგოლ გაბისონიას და იასონ ქუსელს ა. წ. 14 მაისს დილის 11 საათზე გამოცხადდენ ცეკას სააღრ. განმან. განყოფილებაში.

ს. კ. პ. ცეკას სააღრ. გამნაწ. განყ. გამგე ლიციწოვი.

განყ. მდივანი თაყაიშვილი.

— თბილ. კომიტეტი იუწყება: **ამხ. ნაზარეტიანის საინსტრუქტორო მოხსენება, რომელიც გადადებულ იქნა, შესდგება დღეს, 14 მაისს ცენტრ.** პარტკლუბში, საღამოს 6 ნახ. საათზე.

დასწრება სავალდებულოა უჯრედებში მომხსენებლებისათვის და ყველა უჯრედების მდივნებისთვის.

თ. კ. მდივანი—ახრიბეკოვი.

განცხადებები

როზა ლიუქსემბურგის თამბაქოს ქარხნის არსენალის რაიკომის კომუჯრედი იუწყება, რომ 10 მაისს ბორჩალოს მაზრაში ბანდიტებმა მოკლეს პარტიის წევრი 1918 წლიდან

ამხ. არსენ მურადის ძე

გრიგორიანი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

№ 1167—1—1

გულდამწვარი მშობლები ნინა და ვლადიმერ ფანცულაიები, დეიდა ვერა და ბიძა გიორგი ხუნდაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ევგენი ვლადიმერის ძე

ფანცულაია

გამოსვენება ბინიდან, ალექსანდროვის ქ. № 31 ა | წ. 14 მაისს ნაშუადღევის 4 ს. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2—2 1316

ღრმათ დამწუხრებულნი სიმონ იასონის ძე, ნატალია იოსების ასული, აკაკი სიმონის ძე, ეთერა და ნათელა სიმონის ასულნი მეიფარიანები აუწყებენ თავიანთ ნათესავს და ნაცნობთ პირველის მამის, მეორეს მამამთილის და დანარჩენების ბაბუის

იასონ ესტატეს ძე მეიფარიანის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება სტავროპოლის ქუჩიდან № 4 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე დღეს, ნაშუადღების სამს საათზე.

№ 1326—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დედა—ნატალია, მამა—თედორე, და—გუგული, ძმა—გრიგოლი (ჟორჟიკი), და—თამარა, სიძე ალექსანდრე, დისწული თინა კვანტალიანები, დეიდა—ვარდიკო, ბიძა კოწია, ბიცოლა ოლინკა, ბიძაშვილი თამარა კიკაჩეიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამ წლის 16 მაისს, შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. სამტრედიაში, მაცხოვრის სასაფლაოზე ორმოცი დღის აღსანიშნავად, გადახდილი იქნება პანაშვიდი, ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარ მათთვის, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური დარგის სტუდენტ

ვლადიმერ (ლადო) თევდორეს ძე

ჩომახიძის

თავის შეკრება მოხდება ამავე დღეს 2 საათზე, საკუთარი სახლი წულუკიძის ქ. № 10 № 1325—1—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმა მიხეილ ცოლით ევდოკიათი, ძმის წულნი ხარიტონ ცოლით და ვასასი თურქიასი თავისი დედით ელისპერით და ქმრით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 12 მაისს ღამის 2 საათზე გარდაიცვალა

ანასტასია (ტასო) ლევანის ასული

წურქაია

გამოსვენება 17 მაისს კვირას ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან, ნადიროვკა ჯავახეთის ქუჩა № 27.

№ 1335—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მაკრო ლუარსაბის ასული, შვილები ოთარი და აბო და დედა მაგდალინა სოლომონის ასული ნემსაძენი აუწყებენ ნათესავებს, რომ ამა წლის მაისის 11-ს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მიხეილ ივანეს ძე ნემსაძე

გამოსვენება ალექსანდრეს საავადმყოფოდან მაისის 14-ს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

№ 1332—1—1

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ

ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

აცხადებს, რომ

ჭოლა ლომთათიძის

თხზულებანი გამოიცემა სახელგამის მიერ მამია ორახელაშვილის რედაქციით. I ტომი გამოვა ა/წ. მაისის, ხოლო მე-II—ივნისის დამლევს.

ხელისმოწერა მიიღება სახელგამის მაღაზიაში № 1 (რუსთაველის პრ. № 11) და სახელგამის აგენტ ს. თავართქილაძესთან წიგნის მაღაზია „განათლებაში" (ლენინის ქ. № 6).

ყველა ძველი და ახალი ხელისმომწერნი დაკმაყოფილებულ იქნებიან სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

წიგნი (ორი ტომი) ხელისმომწერთათვის გადიდებული სურათით ღირს 4 მანეთად არა ხელმომწერთათვის წიგნი უფრო ძვირად ეღირება.

ნ. 1199. 5—5 **სახელგამი.**

ქ. თბილისის მე-4-ე უბნის ფინინსპექტორი

თანახმად სახელმწიფო გადასახადების აკრეფის მე-7-ე მუხლისა, აცხადებს, რომ ა | წ. 18 მაისს, შუადღის 12 საათზე, აღმასკომის საფინანსო განყოფილების შემოსავალ-გასავლის სალაროში, ხაზინის ქუჩაზე, გაიყიდება

საჯარო ვაჭრობით

სახელმწიფო გადასახადების ნარჩენის დასაფარავათ ი. ფონდოევის, ზ. შანშიევის, ს. ყაულაშვილის, ძმ. ვასერმანების და ს. ბალმჯანოვის კუთვნილი საოჯახო ნივთები: ტანთსაცმელების შკაფი, პირსაბანი, საწოლი, ნოხები, გრამოფონი, სხვა და სხვა რუსული ტყავი, წონით 4 ფუთამდე და სხ.

1157. 1—1 მე-4-ე უბნის ინსპექტორი: დ. აკოფაშვილი.

თბილისის სასაკლაოების დირექციისაგან

თითქმის ყოველ დღე თბილისის სასაკლაოებში დაიარებიან დასათვალიერებლად სხვადასხვა ექსკურსანტების ჯგუფები და ყველა დარგში ერთობ უშლიან მუშაობას.

სასაკლაოების ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ამიერიდან სასაკლაოების დათვალიერება დაშვებული იქნება მხოლოდ კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით, ისიც თუ მსურველები აიღებენ ადმინისტრაციის ნებართვას ორი-სამი დღის წინად.

3—3 ნ. 1149. სასაკლაოების დირექცია

---

19 5 **რუსთაველის თეატრი** მაისის 17 კვირას

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს თაოსნობით

გაიმართება

ლიტერატურული საზოგადოებრივი გასამართლება:

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის

„ჯაყოს ხიზნები"-ს

გმირები

თეიმურაზ ხევისთავი, მარგო და ჯაყო საბრალდებულო სკამზე

მონაწილეობენ: სეით დევდარიანი—

საზოგადოებრივი მსჯავრმდებელი ივანე გომართე

თავმჯდომარე ია ეკალაძე—

სამოქალაქო მომჩივანი ბრალმდებელნი: პ. დადებაძე, ელენე მამ
ცაშვილი, შალვა მურავიოვი, დამცველნი: შოთა დადიანი, მიხ. ღვ
ჩიჩავა, ა. ჩხენკელი. ბრალდებულნი გრიმებში მარგო—ა. ჩხენკელ
ჯაყო თ. მაღაროელ-ნასიძე, თეიმურაზ ხევისთავი—X. სასამართლო
ში 6 ქალი 6 ვაჟი, წევრები: განდეგილი, ან. ერისთავ-ხოშტარი
ნინო ნაკაშიძე, დ. კლდიაშვილი, მიხ. კლიმიაშვილი, კ. ხომერიკ
დანარჩენი საზოგადოების არჩევნით. დისპუტში: ს. ამაღლობელ
შურა დუდუჩავა, ლევან მეტრეველი, ან. ღვინიაშვილი, ორი წ
მომადგენელი სტუდენტებისა: ერთი ქალი, მეორე ვაჟი.

ვინაიდან თეიმურაზ ხევისთავს დამცველი არ აღმოაჩნდ
დამსწრე საზოგადოება თვითონ უნიშნავს

გასამართლებას რომანის ავტორიც დაესწრება	მოწმეებათ მიიღებიან, ვინც ამ მიზნით გამოცხადდება	ორატორთა ლაპარ დრო განსაზღვ ლია

დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრ

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

ნ. 1164 4—1. პასუხისმგებელი **იოსებ იმედაშვილი.**

---

15 მაისი **მცირე თეატრი** **15 მაისი**

ტერენტი გრანელის

პოეზიის საღამო

1. სიტყვები.
2. პოეზია.
3. მუსიკა.

ნის. 1159. 3—2

ამა მაისის 25-დან დაიწყებს მუშაობას თბილისის სასაკლაოების

საყინულე ქარხანა

ვისაც სურთ ისარგებლონ ყინულით მომავალ ზაფხულის სეზონში, თავის დროზედ უნდა მიმართონ სასაკლაოების ადმინისტრაციას საჭირო პირობების დასადებად.

ტელეფონ. №№ 8—66, 17—94.

3—3 ნ. 1148. **სასაკლაოების დირექცია.**

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ სანიტარული განათლების საბჭოს შენობაში (ევანგულოვის ქ. № 12), ა. წ. 15 მაისს, დილის 10 საათზე, გაიხსნება საქართველოს **ჯანმრთელობის ინსპექტორების, ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისრების და საუბნო ექიმების**

მე-2 ყრილობა

1163—1—1

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო

კომისარიატი

იწვევს ექიმ ბაქტერიოლოგს ბათომის საექიმო-საზედამხედველო სადგურის (კარანტინის) მთავარი ექიმის თანაშემწის თანამდებობაზე კარანტინის ექიმის მოვალეობის დაკისრებით

პირობები: ჯამაგირი 180 მან. თვეში და ბინა დაწესებულებასთან.

ადმინ.-საორგ. განყოფილება.

ნ. № 1162—1—1

თბ. აღმასკომის სამნეო ქვე-განყოფილება

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 20 მაისს, დილის 10 საათზე აღმასკ
მის დარბაზში ოთახი № 10 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

3000 კ. საქ. შეშის დამზადებაზე

წინადადებები დაბეჭდილი კონვერტებში და ყველა ცნობები შეშის დამზადების შესახებ მიიღება ოთახში № 25.

თბილისის აღმასკომის სამნეო ქვე განყოფილება.

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ საექიმო პერსონალის რეგისტრაციის უკანას
ნელ ვადათ დანიშნულია ა | წ. 20 მაისი. ვინც ამ დროის განმავლო
ბაში, არა საპატიო მიზეზების გამო, არ გატარდება რეგისტრაციაში
იგი ამორიცხული იქნება საექიმო პერსონალის სიიდან.
აგრეთვე ეცხადება კერძო საექიმო დაწესებულებების გამგეებს
ვადის განმავლობაში აღრიცხონ თავიანთი დაწესებულებანი, წინააღ
მდეგ შემთხვევაში გაუქმებულ იქნება მათი დაწესებულება.

ქალ. აღმასკ. ჯანმრთელობის განყოფილება.

ნ. № 1165—1—1

მე-3 უბნის სახალხო სასამართლო იწვევს მოქ.
ნინო გიორგის ასულს თამაზიანს დაბადებით ბეგიაშვილს
გამოცხადდეს სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ გა
წვევის გამოქვეყნებისა, როგორც მოპასუხე **რუბენ თამაზიანის** ძიების გ
განქორწინების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოტანილი იქნებ
ნაჩენი დაუსწრებლად.

სახ. მოსამართლე: **სირბილაძ**

ქვ. № 1324—1—1

არ არის უკეთესი

კეფირი, ვიდრე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—4

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მე-3 უბნის მილიციის უფროსისაგან თედორე ქრისტაფორის ძე ხოსიტაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1334

დაკარგე პირადობის მოწმობა № 35 და რკინის გზის უფასო სამგზავრო წლიური ბილეთი № 159277 ალექსანდრე წითლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1331

დაკარგე პირადობის მოწმობა ზოსიმე ტურსილაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1336

დაკარგე პირადობის მოწმო
ცემული სუჯუნის
აღმასკომის მიერ 21 თებერვალს
№ 6, ნუსხა, პირადი წიგნაკი სა
სამსახურის განთავისუფლების შეს
106. ელიავუ მენაშეს ძე მოძღვრი
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 133

დაკარგე საწევრო წიგნაკი
ცემული ჭიათურის
თო-მადნო პროფ-კავშირიდან № 2952
პეზ ივანეს ძე სამხარაძის სახელზე. ჩაი
ლოს გაუქმებულად. 1—1 133

დაკარგე ქ. ფოთის მილიციის
მართველოდან
მული პირადი წიგნაკი ანთიმოზ ვან
ძე სიხარულიძის სახელზე. ჩაით
მებულად. 1—1 1329

დაკარგე სოც. დამზღვევ სალა
როს წიგნაკი საქართ
ივანეს ძე როსტიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1327

დაკარგე განათლების მუშაკთა პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 761 და მოსკოვის სამხედრო კომისარიატის მიერ მოცემული სააღრიცხვო წიგნაკი კირილე ბიჭიას ძე ჩხარტიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1323

დაკარგე კომკავშირის წიგნაკი № 199 ვასილ ახალბედიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1333

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4